ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 62 (1078) | სამშაბათი, 6 ივნისი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დადგა დრო, როდესაც წარმოებისა და, საერთოდ, ეკონომიკის გამოცოცხლების ფონზე უნდა შეიქმნას კონკრეტული მოქმედების, კონკრეტული ღონისძიებების მთელი სისტემა"

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** თავისი ტრადიციული რადიოინტერვიუ გასული კვირის ეკონომიკური ანალიზით დაიწყო. რადიოინტერვიუს ჟურნალისტი **ნატო ონიანი** უძღვებოდა.

— გაზაფხულ-ზაფხულის მიჯნაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და „თბილისური გაზაფხულის" საზეიმოდ აღნიშვნის შემდეგ ქვეყანა რთული ეკონომიკური ცხოვრების დაძაბულ პერიპეტიებს დაუბრუნდა. თუმცა ეკონომიკური ცხოვრებისათვის უფრო ნიშანდობლივი აღმოჩნდა ის, რომ სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულთა თაობაზე არცთუ ისე დროული დისკუსიების ვითარებაში პარლამენტმა ვერ მოახერხა ბოლომდე, სამივე წაკითხვით მიეღო კანონები ეროვნული ბანკისა და საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ, მაშინ, როცა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან სარეზერვო კრედიტის, ესე იგი, სთენდ ბაის მიღების თაობაზე მოლაპარაკების ერთ-ერთი ძირითადი პირობა იქნება სწორედ ამ საკანონმდებლო დოკუმენტების მიღება. შთაბეჭდილება, რომ ამ საარსებო ინტერესებზე მეტად (მხედველობაში მაქვს სწორედ ის კანონები, რომელთა გარეშე ვერ მივიღებთ ამ ფინანსურ სტიმულს) ცალკეულ პარლამენტარებს სხვა საკითხები აინტერესებთ, სამწუხაროდ, ასეთივე მასშტაბის ათობით კანონი, რომლებიც ძირითადად ეკონომიკის სფეროს მოიცავს, უმოძრაოდ დევს შესაბამის კომისიებში და, როგორც იტყვიან, ბევრ ჩვენგანს ამისათვის არ სცალია.

რეფორმებისა და ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის რეალიზაციის გზით წინ წაწევის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს 1995 წლის ხუთ თვეში ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შეფასება. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 1995 წლის ხუთი თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაზუსტებული საპროგნოზო მაჩვენებლებით ამ ბიუჯეტის შემოსავლის საერთო მოცულობა 58 ტრილიონი კუპონია, საიდანაც გრანტებით მიღებული შემოსავალი 27 ტრილიონს შეადგენს. რეალურად საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ანგარიშებზე პირველი ივნისისათვის ჩარიცხულია სულ 41 ტრილიონი კუპონი ანუ 5 თვის საპროგნოზო მოცულობის 80 პროცენტამდე. გრანტების გარეშე პირველი ივნისისათვის რესპუბლიკურმა ბიუჯეტმა მიიღო 21 ტრილიონ ნახევარი კუპონი ანუ პროგნოზით გათვალისწინებულის 85 პროცენტი (ლაპარაკია საკუთარ შემოსავალზე). ამის ძირითად მიზეზად ისევ საბაჟო გადასახდელებისა და აქციზით დასახული საპროგნოზო მაჩვენებლების შეუსრულებლობა რჩება. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მაისში რეალურად გამოიკვეთა შემოსავლის მობილიზაციის მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია. ამ თვეში რესპუბლიკურ ბიუჯეტში შევიდა 13 ტრილიონზე მეტი კუპონი, რაც განვლილი 4 თვის საშუალო თვიურ მაჩვენებელს თითქმის ორჯერ აღემატება. ამავე დროს მაისში შემოსავლის ზრდაზე გარკვეული გავლენა მოახდინა ჩათვლებმაც, გრანტებით მიღებული პროდუქტების რეალიზაციის შედეგად რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალს პირველი ივნისისათვის 20 ტრილიონი კუპონი შეემატა. აქედან მხოლოდ მაისის თვეში მიღებულია 8 ტრილიონი კუპონი, რაც გასული ოთხი თვის საშუალო თვიურ მაჩვენებელს 49 პროცენტით აღემატება. ხუთ თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტის გასავლის საერთო მოცულობამ შეადგინა თითქმის 80 ტრილიონი კუპონი ანუ გეგმის 84 პროცენტი. რესპუბლიკური ბიუჯეტის საკუთარ შემოსავალსა (გრანტების ჩათვლით) და გასავალს შორის სხვაობა დაიფარა ეროვნული ბანკიდან სისტემური ტრანსფორმაციის კრედიტის ხარჯზე გამოყოფილი სესხითა და მსოფლიო ბანკის კრედიტით.

კიდევ ერთხელ მივაპყრობ ყურადღებას იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ბანკისა და სავალუტო ფონდის დახმარებას, ეს რომ არა, ჩვენი ისედაც ღარიბი ბიუჯეტი მართლაც კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ამიტომაც ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, იმისათვის, რომ ეს არხი არ გადაიკეტოს. კერძოდ, აუცილებელია კანონები, რომელთა მიღებასაც სავსებით კანონიერად და საფუძვლიანად მოითხოვენ ჩვენგან მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი.

საბოლოო ანგარიშით, რესპუბლიკურმა ბიუჯეტმა დაფინანსების ამ ორი წყაროდან დღეისათვის სულ მიიღო 43 ტრილიონი კუპონი.

ედუარდ შევარდნაძის 5 ივნისის რადიოინტერვიუ

საბიუჯეტო ვითარების გაუმჯობესებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო თანხების დარიცხვასა და ჩარიცხვას, არამედ საბანკო სისტემაში მათი მოძრაობის დაჩქარებასაც. სახელმწიფოს საგადასახადო სამსახურის მიერ საბანკო დაწესებულებებში რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლის ანგარიშზე ჩარიცხული თანხების ეროვნულ ბანკში დადგენილ ვადებში და დროულად გადარიცხვის შემოწმებით დადგინდა, რომ ბანკების უმრავლესობა არ იცავს მოთხოვნას რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლის ეროვნულ ბანკში [illegible] გადარიცხვის თაობაზე. საკმარისი არ არის აგრეთვე კონტროლი, რომელსაც ეროვნული ბანკის საზედამხედველო სამმართველო უწევს ამ პროცესს თანხების განაწილების პირველრიგითობის წესის დაცვის თვალსაზრისით. ჩემი აზრით, ამ საკითხს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ და მისმა პრეზიდენტმა, აგრეთვე გამგებლებმა, მერებმა და რწმუნებულებმა. მარტო ქალაქ თბილისის ბანკებიდან ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზე დროულად არ ჩარიცხულა ტრილიონ კუპონამდე. განსაკუთრებით დიდი დაგვიანებით გადარიცხა მნიშვნელოვანი ოდენობის თანხები საქართველოს ბანკის საბურთალოს განყოფილებამ, რომელმაც მიმდინარე წლის მარტის ბოლომდე მხოლოდ ორჯერ გადარიცხა თანხები ეროვნულ ბანკში. ვფიქრობ, ამ ბანკის საკითხი სპეციალურად უნდა განიხილონ ქალაქის ხელმძღვანელობამაც, ეროვნულმა ბანკმაც და მინისტრთა კაბინეტმაც. ამავე ბანკის საძგორის განყოფილებას ამავე პერიოდში საერთოდ არ ჰქონდა გადარიცხული თანხები. ანალოგიური დარღვევები დადგინდა საქართველოს ბანკის გლდანის, ისნის, ჩუღურეთის განყოფილებებში.

მაისის ბოლო კვირაში შემოწმდა ქალაქ თბილისის 79 საწარმო და ორგანიზაცია, სადაც დამატებით დარიცხულმა თანხამ 48 მილიარდი კუპონი შეადგინა, ესე იგი, ხდება შემოსავლის გადამალვა ანუ პრაქტიკულად ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება.

კვლავ არის შემთხვევები, როცა ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე თანხების ჩარიცხვა ფერხდება იმის გამო, რომ მომსახურე ბანკებში არ არის საკრედიტო რესურსები. ამ მიზეზით ზუგდიდის პურპროდუქტების კომბინატის კუთვნილი 180 მილიარდი კუპონი 1994 წლის ოქტომბრიდან დღემდე გადაურიცხავია ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე „სამეურნეო ბანკის" ზუგდიდის განყოფილებაში შესაბამისი სახსრების უქონლობის გამო. მივმართავ ზუგდიდის რაიონის გამგებელსა და გამგეობას სპეციალურად იმსჯელონ ამ საკითხზე. უარესი ვითარებაა ბორჯომის რაიონში. თანხა გაჩერილია რაიონის ამ წისქვილკომბინატის მომსახურე აგრობანკში. ბორჯომის გამგეობა და მისი გამგებელიც — პარლამენტის წევრი, ასეთ საკითხებს ყურადღებას არ აქცევენ, რაც ჩვენს სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

1995 წლის განვლილ პერიოდში საბაჟო დეპარტამენტის (გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ჩემი გამოსვლის ამ ნაწილს) სისტემიდან ბიუჯეტში შენატანებმა 2 მილიონ 190 ამერიკული დოლარი შეადგინა. შარშანდელ შესაბამის პერიოდში საბაჟო სისტემიდან ბიუჯეტში შეტანილი იყო მხოლოდ 112 ათასი ამერიკული დოლარის ეკვივალენტური სხვადასხვა ვალუტა, შარშან საქონლისა და პროდუქციის მოძრაობა სულაც არ ყოფილა წლევანდელზე ნაკლები. წარმოგიდგენიათ, რა რაოდენობის სახსრები ეკარგებოდა სახელმწიფოს, როგორ მდიდრდებოდნენ ცალკეული ადამიანები. კლანები და ჯგუფები სახელმწიფოს ხარჯზე! ბიუჯეტში შეტანილი თანხებიდან თბილისის საბაჟოზე მოდის მილიონ 180 ათასი დოლარი, ბათუმის საბაჟოდან შემოსულია თითქმის ნახევარი მილიონი დოლარის ეკვივალენტური თანხა (ეს განსაკუთრებით სასიხარულოა, რადგან ბევრი ლაპარაკი და პრეტენზიები იყო ამ საბაჟოსთან დაკავშირებით), ფოთის საბაჟოდან — 128 ათასი (უნდა აღვნიშნო, რომ ფოთის საბაჟოდან არ შემოდის იმის მესამედიც, რამდენიც უნდა შემოდიოდეს. ბატონ მელიას, ბატონ გეგეძეს, ბატონ კეშელავას და სხვათა საყურადღებოდ ვამბობ: თანხა უნდა შემოდიოდეს სახელმწიფოს შესაბამის სალაროებსა და ბანკებში), ქუთაისის საბაჟოდან — 108 ათასი, ქვემო ქართლის საბაჟოდან — ასევე და ა. შ. შემოსავლის ზრდაზე საბაჟო სისტემის მუშაკთა მობილიზაციასთან ერთად დადებითი გავლენა მოახდინა საგადასახადო ბაზის გაფართოების ღონისძიებებმაც. ნაღდი ვალუტის გატანაზე და წესებული გადასახადების შესახებ სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების ამოქმედების შედეგად მიმდინარე წლის პირველი თებერვლიდან ბიუჯეტში უკვე შემოტანილია 150-200 ათასი დოლარის ეკვივალენტური სხვადასხვა ვალუტა.

უახლოეს დღეებში დაგეგმილია საბაჟო გამშვები პუნქტის გახსნა საქართველო-თურქეთის საზღვარზე (მხედველობაში მაქვს სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), რაც ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლის სერიოზული წყარო უნდა გახდეს. გამშვები პუნქტის მწყობრში ჩადგომასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ აღვნიშნო საგზაო დეპარტამენტის სამაგალითო მუშაობა, მხედველობაში მყავს ბატონი ბორის ხარალიძე და მისი კოლეგები, ამ მხარეში ჩვენი რწმუნებული ბატონი ვალერი ბაქრაძე, რომელიც, როგორც იტყვიან, ოცდაოთხ საათს მორიგეობს და კოორდინაციას უწევს მთელ ამ საქმიანობას, ასევე საბაჟო სამსახური და მისი ხელმძღვანელობა, რეგიონული ქვეგანაყოფები. კარგად მუშაობენ მესაზღვრეები და სხვა სამსახურები. ჩემი აზრით, ეს ძალიან დიდი და სერიოზული მოვლენა იქნება ჩვენს ცხოვრებაში. ამავე დროს ამ ხელმძღვანელთა საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ საბაჟოს გახსნის პირველი დღეებიდანვე სახელმწიფო ინტერესების დაცვა გარანტირებული უნდა იყოს.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის თვისებრივად ახალ, პრაქტიკულ ჭრილში გადასვლის ერთ-ერთი გამოვლინება იყო 29-30 მაისს სასტუმრო „მეტეხში" საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს და დიდი ბრიტანეთის ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროს „ნოუ ჰაუს" ფონდის მიერ მოწყობილი სემინარი. ეს საერო შეხვედრა გახლდათ. ლონდონში ჩემი ყოფნის დროს ბრიტანეთის მთავრობამ, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, გაგვიორკეცა „ნოუ-ჰაუს" ფონდის ხაზით გამოყოფილი სახსრები და ახლა უკვე შევუდექით ნაყოფიერ მუშაობას იმისათვის, რომ ეს სახსრები დანიშნულებისამებრ გამოვიყენოთ.

მრეწველობის სამინისტროს ინფორმაციით, მაისში პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა. განსაკუთრებით ფარმაცევტული, ელექტროტექნიკური, მსუბუქი და ხისდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებში. უფრო დეტალური ცნობები შემდგომ გამოქვეყნდება.

გრძელდება მუშაობა ადგილობრივი ნედლეულის ბაზის ათვისებისა და ეფექტიანად გამოყენებისათვის. მაგალითად, ზუგდიდის ფაიფურის ქარხანაში ჩვენს რესპუბლიკაში მოპოვებული ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით უკვე დამზადდა საცდელი ნიმუშები და მიმდინარეობს მათი წარმოებაში დანერგვა, რაც ამ დარგის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების რეალურ პერსპექტივებს სახავს. ასევე დაწყებულია მუშაობა და

(დასასრული მე-2 გვ.).

მცხეთა — მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საგანძურში

სიყვარულისა და ყვავილების დღესასწაულად იქცა 3 ივნისს მცხეთაში გამართული ზეიმი, რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა დაედო საფუძვლად: ქართული ცივილიზაციისა და კულტურის აკვანი, გელათის სამონასტრო კომპლექსთან და ბაგრატის ტაძართან ერთად, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის გადაწყვეტილებით მსოფლიოს საგანძურის კუთვნილებად აღიარეს.

უახლოეს მომავალში მცხეთაში ჩამოვლენ იუნესკოს ექსპერტები და მათთან ერთად დაზუსტდება ქალაქის კომპლექსური განვითარების პროგრამა. საქართველოს საპატრიარქოს, ძეგლთა დაცვის სამმართველოს და სხვა ორგანიზაციების მიერ დაფუძნებულია მცხეთის განვითარებისა და აღორძინების ფონდი, რომლის პრეზიდენტია საქართველოს პარლამენტის წევრი გია შაიშმელაშვილი.

იმ დღეს სიცოცხლედაბრუნებული თეატრონის ტერიტორიაზე გამართულ პავილიონებში დღესასწაულის მონაწილეებს მასპინძლობდნენ აჭარა, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, დუშეთის, ახალგორის რაიონები.

ზეიმი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრიდან დაიწყო.

სახელმწიფოს მეთაური ესტუმრა მიხეილ მამულაშვილის განთქმულ ბაღს, დაათვალიერა სადღესასწაულო პავილიონები.

ამას მოჰყვა გულთბილი შეხვედრები მოსახლეობასთან, მათ შორის ლტოლვილებთან, რომელთაც სახელმწიფოს მეთაურთან უშუალო, გულწრფელმა საუბარმა მათ მძიმე მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი ჩაუსახა.

საზეიმო განწყობილება შეცვალა საქმიანმა საუბარმა, რომელიც გაერთიანება „თავთავის" სააქტო დარბაზში შედგა. სახელმწიფოს მეთაურის თხოვნით, მხარეში შემავალი რაიონების ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს მათდამი დაქვემდებარებული რაიონების სოციალურ-პოლიტიკური ვითარებაზე, მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარების პერსპექტივებზე, ხელისშემშლელ გარემოებებზე, იმ ძირითად პრობლემებზე, რომელთა დროულ გადაწყვეტაზე უშუალოდ არის დამოკიდებული რეგიონში აღმშენებლობის პროცესის შეუფერხებელი განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო მეურნეობრიობის კერძო სექტორის განვითარების აუცილებლობას. როგორც მცხეთა-მთიანეთის მხარეში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის მოადგილემ შოთა ეცადაშვილმა აღნიშნა, უდიდეს იმედებს ამყარებენ რეგიონის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გადაქცევაზე, აგრარული სექტორის განვითარებაზე. რეგიონში შემავალი ხუთივე რაიონი ამ მხრივ საკმაოდ მწვავე კრიზისს განიცდის, უპირველესი სადღეისო ამოცანაა მეურნეობრიობის ვარდნის შეჩერება. რესპუბლიკის პარლამენტის მიერ მიღებული მეწარმეთა კანონი, ზოგადად, საკანონმდებლო ბაზა პრაქტიკულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

გამგებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს მეცხვარეობის აღორძინების პერსპექტივას. დუშეთის გამგებელმა კობა ბუჩუკურმა აღნიშნა, რომ ამ პრობლემის მოგვარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ყიზლარის საძოვრების საკითხის გადაწყვეტა, რაც შეეხება მატყლის გადამუშავებასა და გაყიდვას, რაც, მასზე უდიდესი მოთხოვნილების მიუხედავად, დღემდე პრობლემად რჩება, ბატონი ბუჩუკურის მოსაზრებით, მარტივად შეიძლება მოგვარდეს, თუ მრეწველობის სამინისტრო კვლავაც თვითონ იკისრებს მის გადამუშავებას. ამავე პრობლემაზე ილაპარაკა ყაზბეგის გამგებელმა მერაბ გელაძემ, რომელმაც კონკრეტული წინადადებაც შესთავაზა შეხვედრის მონაწილეებს: შეგვიმცირონ გაზის გადასახადი და რაიონში მეცხვარეობის აღორძინებას წინ არაფერი დაუდგება.

თავიანთ რაიონებში შექმნილ ვითარებაზე ილაპარაკეს მცხეთის, თიანეთის, ახალგორის რაიონების გამგებლებმა არმაზ შამანაურმა, ელბერდ მიდელაურმა, ვლადიმერ ბალიაშვილმა, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მხარეებში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულებმა ბადრი ხატიძემ და შალვა ობგაიძემ. აღნიშნულ პრობლემათა გადაწყვეტის რეალური შესაძლებლობები გააცნო შეხვედრის მონაწილეებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრმა ზურაბ [illegible]. მცხეთის რაიონის მშრომელთა წინაშე მდგარი სადღეისო პრობლემების გადაწყვეტაში ხელისუფლების როლის ამაღლებისა და დედაქალაქის მეტი მხარდაჭერის აუცილებლობაზე მიაპყრო ყურადღება გაერთიანება „თავთავის" გენერალურმა დირექტორმა, პარლამენტარმა ჯუმბერ პატიაშვილმა. თბილისის გამოცდილება გაუზიარა შეხვედრის მონაწილეებს ქალაქ თბილისის მერმა ნიკო ლეკიშვილმა.

— შეფასება, რომელიც ახალი წლის დასაწყისში გამოვთქვი იმის შესახებ, რომ ეს წელიწადი გარდატეხის დასაწყისი უნდა გახდეს, მართლდება, — ასეთი დასკვნა გააკეთა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გამგებლებისა და რწმუნებულების გამოსვლების შემდეგ და აქვე დააზუსტა: მიუხედავად იმისა, რომ სიძნელეები რჩება, უკეთესობისაკენ მოძრაობა მაინც დაწყებულია.

სახელმწიფოს მეთაურმა ქვეყნის სამომავლო წინსვლა უშუალოდ კონსტიტუციას დაუკავშირა და დამსწრეთ გააცნო საკონსტიტუციო კომისიის განსახილველად წარდგენილი პროექტით გათვალისწინებული ზოგიერთი დეტალი. იგი მოკლედ შეეხო კონფლიქტების მოწესრიგების პერსპექტივას და აღნიშნა, რომ ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მინსკის შეხვედრას. — ეს იყო პირველი შემთხვევა, — თქვა მან, — როდესაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ყველა სახელმწიფოს მეთაურმა გამოთქვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი საზღვრების ურღვევობის სრული მხარდაჭერა და მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღოს ამ კონფლიქტების მოწესრიგების პროცესში.

შეხვედრა მცხეთის მოსახლეობასთან.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა მშვიდობიანი და მეგობრული თანაცხოვრების საუკეთესო ტრადიციის აღორძინების აუცილებლობაზე, იმ ხიდის აღდგენის მნიშვნელობაზე, რომლის ჩატეხვამაც ესოდენ დიდი ტკივილი მიაყენა ქართველებს, აფხაზებს, ოსებს...

სახელმწიფოს მეთაური შეეხო შეხვედრაზე წამოჭრილ პრობლემას ყიზლარის საძოვრების შესახებ და მოუწოდა მინისტრთა კაბინეტს, დროულად გადაწყვიტოს ეს საარსებოდ მნიშვნელოვანი საკითხი. აქვე მან სთხოვა რაიონების მესვეურთ, განსაკუთრებით შეუწყონ ხელი კერძო ბიზნესის, მეწარმეობის განვითარებას, როგორც საქართველოს ეკონომიკური წინსვლის საფუძველს. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია მაღალმთიანი სოფლების შენარჩუნება, ეს, თქვა მან, არის საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების ერთ-ერთი მთავარი პირობა.

დასასრულ ბატონი ედუარდ შევარდნაძე კვლავ შეეხო ქვეყანაში წესრიგის დამყარების პრობლემას და თქვა, რომ სტაბილურობა არის ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლების უმთავრესი საწინდარი. წესრიგის დამყარება საქართველოს მოსახლეობის ნებაა და იგი უნდა შესრულდეს, თქვა სახელმწიფოს მეთაურმა. რაც შეეხება დიქტატურას, რომლის საშიშროებაზეც ბოლო ხანს ხშირად ლაპარაკობენ, იგი საქართველოში არ იქნება. საქართველოში იქნება ხელისუფლება, რომელიც დადგება დემოკრატიის სადარაჯოზე.

გვიან ღამემდე მცხეთა აღნიშნავდა თავის დიდ დღესასწაულს ხელოვნების ოსტატების, საქართველოს სხვადასხვა რაიონების შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით.

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორ.

— მაჯისცემა —

საკონსტიტუციო კომისია მუშაობს

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ დაიწყო კონსტიტუციის პროექტების მოსმენა. კომისიის წევრებმა და პროექტებით დაინტერესებულმა პარლამენტარებმა უკვე მოისმინეს სახელმწიფოს მეთაურის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის მიერ შემოტანილი პროექტი. მოისმინეს, აგრეთვე, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, რესპუბლიკური პარტიის, ღვთისშვილთა კავშირის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის სტუდენტ-კონსტიტუციონალისტთა ჯგუფის მიერ შემოტანილი პროექტები. რაც შეეხება მოქალაქეთა კავშირს, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ პროექტი არ შემოაქვთ როგორც ალტერნატივა. ამის გამო კომისიამ პროექტის ნაწილობრივი მოსმენა საკმარისად მიიჩნია.

გუშინ გაიმართა საკონსტიტუციო კომისიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოსასმენად შემოტანილი იყო კონსტიტუციის დანარჩენი პროექტები, კერძოდ: სამართლიანობის კავშირი-ხმა ერისას, დემოკრატ იურისტთა ასოციაციის, კომერციულ ბანკ „აისის" — საქართველოს კომუნისტური პარტიისა და ზუგდიდელი მოქალაქის ზ. ოკუჯავასი.

მოსმენილი კონსტიტუციის პროექტებს შემდგომ ეტაპზე განიხილავენ.

ნაყოფიერად ითანამშრომლებენ

2 ივნისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო იუნესკოს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების პროგრამის უფროსი რიჩარდ რიდი, მთავარი მრჩეველი პროგრამების დარგში ედი მაკლაფლი და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში სტივენ ჯონსონი.

ბატონმა რიჩარდ რიდმა სახელმწიფოს მეთაურს მადლობა გადაუხადა ბავშვთა მსოფლიო პროგრამის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

სახელმწიფოს მეთაურმა მაღალი შეფასება მისცა გაეროს ბავშვთა ფონდის ძალისხმევას გაათავისუფლოს მსოფლიო პოლიომიელიტისა და დიფტერიით დაავადებისაგან. მან განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ დაიშურებს ძალ-ღონეს და მხარში ამოუდგება ინიციატორებს საკაცობრიო მნიშვნელობის ოპერაციის ხორცშესასხმელად.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ირაკლი მენაღარიშვილი.

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად უწყიან პარლამენტართა კავშირ „თანადგომის" ერთობ ნაყოფიერი, შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ. იგი აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებში, ზოგიერთი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ ამაღლებაში — იქ არსებულ შესაძლებლობათა ამოქმედების ღონისძიებათა დასახვასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად მათ კონკრეტულ ხორცშესხმაში წვლილის შეტანით. განსაკუთრებით იღვწის ლტოლვილთა სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ კეთილშობილური მისიით უკვე ცხრა რაიონს ეწვივნენ, ყოველი ასეთი ღონისძიება მთავრდება მთავრობის კაბინეტში მოხსენებითი ბარათის წარდგენითა და ამ ბარათებში დასმული საკითხების მინისტრთა კაბინეტის სპეციალურ სხდომებზე განხილვაში მონაწილეობით.

პარლამენტართა კავშირ „თანადგომის" ერთი ჯგუფი — თავმჯდომარის ნუგზარ ნადარაიას, თანათავმჯდომარეების ანზორ თავართქილაძისა და თენგიზ კალანდაძის, გივი აბალაკის, ანზორ წოწონავას, მერაბ ქაჯაიას, არნოლდ ფენდერავას, მალხაზ ბარამიძის, გერმანე ფაცაციას, ინგუშა აბესაძის, გივი ხვედელიძის, ნიაზ ჭეირანაშვილის, გია ციხისთავის შემადგენლობით ამჯერად გორს ეწვია. მათთან ერთად იყვნენ სრულიად საქართველოს ქალთა საერთაშორისო კონგრესის პრეზიდენტი ლია კიკნაძე, მისი მოადგილეები გიული ჭალაღანია და ინეზა ანდღულაძე, სამეგრელოს რეგიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ნოდარ ჩხოლარია.

რით ვუშველოთ საქართველოს? ხელი — ხელს, გული — გულს, მხარი — მხარს!

შეხვედრა შიდა ქართლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან.

იმედი, რომელიც საკუთარ შესაძლებლობებს ეფუძნება

შიდა ქართლში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულთან ბადრი ხატიძესა და ადმინისტრაციის სხვა თავკაცებთან სახელდახელო საუბრის შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა ქალაქის საწარმოები მოინახულეს.

გორის საკონსერვო ქარხანა ერთ-ერთი უძველესია საქართველოში, 1919 წლიდან იწყებს თავისი ბიოგრაფიის ათვლას. მან გაუძლო ბოლო წლების დამანგრეველ რყევებს: არ დაზიანებულა და გაძარცულა, დღესაც ტექნიკურად კარგად არის აღჭურვილი (თვით 1962 წელს დამონტაჟებული დანადგარებიც კი გამართულად მუშაობს), აქვს ორმაგი ენერგეტიკული კვება, ორი სარკინიგზო ჩიხი.

იყო დრო, გორის საკონსერვო ქარხანა მთელი შიდა ქართლის სოფლის მეურნეობის პროდუქციას ამუშავებდა. დღეს მას სხვებივით ძალზე უჭირს, თუმცა, როგორც ვთქვით, ყველა ტექნოლოგიური ხაზი და დანადგარი მზადა აქვს მთელი ძალით ასამუშავებლად. საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველო სსრკ-ის ერთიანი სივრცის ნაწილი იყო, რესპუბლიკის მრეწველობა ამ საწარმოსთვის საჭირო მინის ტარის მხოლოდ 10 პროცენტის მიწოდებას თუ უზრუნველყოფდა, დანარჩენი რუსეთიდან და სხვა რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ. იქიდანვე შემოდიოდა სხვადასხვა აუცილებელი დამხმარე მასალა. დღეს ეს აღარ არის. ამის გარდა, მზა პროდუქციის გასაღებაც ჭირს (ადრე აქაური ნაწარმის მთელი 80 პროცენტის მომხმარებელი რუსეთი იყო). ბაზრის ძიება, უტრანსპორტობის გამო, ერთობ ძნელდება. ნედლეულის მოპოვებაც გართულდა. ახლა აქ მთელი წლის განმავლობაში იმდენი ნედლეული შემოდის, რაც ადრე 6-7 დღეში შემოდიოდა. და ეს ხდება რეგიონში, რომელსაც წელიწადში, პოტენციურად, 120 ათასი ტონა ხილის მოწევა ძალუძს. შედეგიც შესაბამისია: ქარხანას 65 მილიონი პირობითი ქილა კონსერვის გამოშვება შეუძლია, 1994 წელს კი ამ შესაძლებლობის მხოლოდ 10 პროცენტი აწარმოეს.

ქალბატონმა მარინე ქიტიაშვილმა, რომელიც 19 წელიწადია ამ საწარმოს ხელმძღვანელობს, წვრილად უამბო სტუმრებს იმ გარდაქმნებზე, რომლებიც უკვე დაიწყო აქ და უახლოეს ხანში განხორციელდება, უმთავრესი ის არის, რომ საკონსერვო ქარხანა გარდაიქმნება სააქციო საზოგადოება „გორკონად", მოხდება შესაბამისი ცვლილებები, რომლებიც საწარმოს ნორმალური მუშაობის საშუალებას მისცემს.

ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ საწარმოს ხელმძღვანელებს ურჩია, ხომ არ აჯობებს საკონკურსო წესით შეარჩიოთ აქციონერები. კონკრეტული ეკონომიკური პროგრამების განხილვით, ე. ი. აქციების გაყიდვამდე ორგანიზებულად, თქვენი შეხედულებისამებრ მართოთ ეს პროცესიო. სტუმრებმა ურჩიეს აგრეთვე იჯარით აიღონ ხილის ბაღები, რათა გაიადვილონ ნედლეულის მოპოვება.

ასეთივე საქმიანი საუბრები გაიმართა გორის სააქციო საზოგადოება „ლაინში" (ყოფილი ბამბეულის ქსოვილების კომბინატში). მისმა დირექტორმა მერაბ ნიჟარაძემ სიამაყით განაცხადა, რომ გაერთიანებაში დაუზიანებლად შენარჩუნებულია საწარმოო სიმძლავრეები და სათანადო პირობების შექმნის შემთხვევაში შეუძლიათ კვლავინდებურად სრული დატვირთვით იმუშაონ, მაგალითად, უწინდებურად 57 მილიონი მეტრი ქსოვილი გამოუშვან წლიურად. „ლაინი" აერთიანებს 2 სართავ და 2 საქსოვ, სამღებრო, სამკერვალო ფაბრიკებს, აქვს ფილიალები ატენში, ბორითში, ახალციხეში, აბაშაში, ვანში. მაგრამ გაერთიანება დღეს ფაქტობრივად დგას. მას 6 ათას ტონამდე ნედლეული და 42-44 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია სჭირდება წელიწადში. არც ერთია და არც მეორე. ძველიდან შემორჩენილი ან დღეს რის ვაივაგლახით ნაშოვნი ნედლეულით გააქვთ თავი, შარშან მხოლოდ 3,6 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია მოიხმარეს. ისე რომ, გაერთიანება დიდი, სერიოზული პრობლემების წინაშე დგას, რომელთა გადაჭრაც, ჯერჯერობით, არ ხერხდება. მაგრამ ძიება, გზების მოსინჯვა გრძელდება. ამ საქმეში პარლამენტარებიც ჩაერიენ.

(დასასრული მე-4 გვ.).

გვილოცავენ

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

გულწრფელად გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის დღის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით.

გამოვთქვამ რწმენას, რომ ყაზახეთ-საქართველოს ურთიერთობა კვლავაც განვითარდება მეგობრობისა და ურთიერთსარგებლიანობის სულისკვეთებით.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებას, მეგობარ ქართველ ხალხს კი მშვიდობასა და კეთილდღეობას.

პატივისცემით,

ნურსულთან ნაზარბაევი,
ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს

თქვენო აღმატებულებავ,

კანადის ხალხის სახელით, ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, გამოვხატო ჩვენი ძალზე თბილი სურვილები თქვენი აღმატებულებისა და თქვენი ქვეყნის ხალხისადმი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით.

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან თქვენი ქვეყანა წააწყდა ექსტრაორდინალურ ცვლილებებს, რომლებიც სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებასთან არის დაკავშირებული. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს მთლიანობასა და თქვენს ძალისხმევას, რომელიც მიმართულია კონსტიტუციაში სხვადასხვა წარმომავლობის მოქალაქეთა მისწრაფებების დაკმაყოფილებისაკენ, რაც მოიცავს კულტურული მრავალფეროვნებისა და უმცირესობის უფლებების პატივისცემას.

მშვიდობა კავკასიაში რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლის საფუძველია. კანადა გააგრძელებს გაეროსა და უშიშროების ორგანიზაციის ძალისხმევის მხარდაჭერას, რომელიც მიმართულია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების პოლიტიკური დიალოგის გზით გადაჭრისაკენ.

კანადელი ხალხი ჩემთან ერთად უსურვებს თქვენს ხალხს ბედნიერებას და წარმატებას და მიესალმება თქვენს ძალისხმევას, რომელიც მიმართულია ისტორიის კრიტიკულ პერიოდში მყოფ საქართველოში მშვიდობისა და აყვავების მიღწევისაკენ.

რომეო ლებლანკი,
კანადის გენერალ-გუბერნატორი.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღესთან დაკავშირებით, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მისალოცი დეპეშები გამოუგზავნეს უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოს რესპუბლიკაში ანატოლი კასიანენკომ, სომხეთის რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა საქართველოს რესპუბლიკაში ლევონ ხაჩატრიანმა.

კარტერის ცენტრი, 26 მაისი, 1995 წელი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

მიიღეთ ჩემი მილოცვები იმ პროგრესის გამო, რომელსაც საქართველომ მიაღწია მშვიდობისა და დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე. მე თვალს ვადევნებ ვითარებას საქართველოში, განსაკუთრებით, აფხაზეთში. მაინტერესებს, არსებობს თუ არა რაიმე გზები, რითაც კარტერის ცენტრს შეუძლია დაეხმაროს საქართველოს. დოქტორი ჯოის ნეო, კონფლიქტების მოგვარების პროგრამის თანადირექტორი, ეწვევა თბილისს ივნისის დასაწყისში, კოლეგასთან ერთად — ვირჯინიის უნივერსიტეტიდან. ისინი შეხვდებიან თქვენი ხელისუფლების და არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რათა შეისწავლონ საქართველოში მიმდინარე პროცესები, ასევე გაემგზავრებიან სოხუმს, რათა დაესწრონ კონფერენციას კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე, რომელიც ორგანიზებულია ადგილობრივი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების მიერ.

ველი შემდგომ ინფორმაციას თქვენი წარმატებების შესახებ.

გულთბილად მოგიკითხავთ,

ჯიმი კარტერი.

„დადგა დრო, როდესაც წარმოებისა და, საერთოდ, ეკონომიკის გამოცოცხლების ფონზე უნდა შეიქმნას კონკრეტული მოქმედების, კონკრეტული ღონისძიებების მთელი სისტემა"

(დასასრული)

შესაბამისი ფინანსირების გამოძებნის პირობებში შეიძლება გადაწყდეს კაუსტიკური სოდის, ფოგირდმჟავას, ბაზალტისაგან ხელოვნური ბოჭკოს, კვარცის სილისა და მინერალური ნედლეულის გამოყენებით მინისა და რესპუბლიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი სხვა პროდუქციის წარმოების საკითხები. ეს პრობლემები დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს მინისტრთა კაბინეტმა. დადგა დრო, როდესაც წარმოებისა და საერთოდ ეკონომიკის გამოცოცხლების ფონზე უნდა შეიქმნას კონკრეტული მოქმედების, კონკრეტული ღონისძიებების მთელი სისტემა, მოქმედება იმ მოთხოვნათა და პრობლემათა ადეკვატური უნდა იყოს, რომლებიც ახლა ჩვენს წინაშე დგას. ყველაფერს სჭირდება მხარდაჭერა (მნიშვნელობა არა აქვს, იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო ბიზნესი).

ასევე ფუნდამენტურად არის გადასაწყვეტი საკითხი — რა ვუყოთ მოსახლეობაში არსებულ მატყლს. ჩვენ მიერ გამოძებნილი ერთდროული გადაწყვეტა საქმეს ვერ შველის. ახლა მინისტრთა კაბინეტი კვლავ უნდა დაუბრუნდეს ამ საკითხს და მიიღოს რადიკალური ღონისძიებები არსებითი გადაწყვეტის გამოსაძებნად.

დადგა აბრეშუმის პარკის დამზადების სეზონი, დღის წესრიგშია ტყავ-ნედლეულის და სხვა მრავალი საკითხი. ტყავ-ნედლეულის დამზადება ჩვენი მსუბუქი მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ბაზა და წარმოების გამოცოცხლების აუცილებელი პირობაა. გლეხობა საკმაოდ ძვირად აფასებს ამ პროდუქციას, მაგრამ რომ შემოვიტანოთ, უფრო ძვირი დაგვიჯდება. ამიტომ უნდა ვეძებოთ გზები. თუ გლეხობასთან კონტრაქტები დროულად გაფორმდება, დარწმუნებული ვარ, მათთვისაც და ჩვენთვისაც გამოიძებნება ხელსაყრელი პირობები.

წუხელ ყურადღება მივაქციე სატელევიზიო გადაცემას, რომელიც ევროკავშირთან ურთიერთობის საკითხებს შეეხებოდა. მინდა მადლობა ვუთხრა თქვენს პროგრამას და მის წამყვანებს ამ გადაცემის ორგანიზაციისათვის. ეს იყო ჩვენი მოსახლეობისათვის ძალზე საჭირო საუბარი ბატონ დენის ქორბოისთან. თუ რამდენად მნიშვნელოვანია ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების დახმარება, ჩემი აზრით, ამას განმარტება არ სჭირდება. ამ საუბრის დედაარსი ის გახლავთ, რომ საქართველო კვლავაც მიიღებს საჭირო პოლიტიკურ და მატერიალურ მხარდაჭერას, თუ იგი ეკონომიკური რეფორმებისა და დემოკრატიის შეუქცევადი განვითარების გზით ივლის. ამიტომ ნაკლები დრო და ენერგია უნდა ვხარჯოთ უნაყოფო და უშედეგო აურზაურზე პარლამენტში და მეტი ყურადღება დავუთმოთ ფუძემდებელი კანონების მიღებას, კონსტიტუციის ოპტიმალური ვარიანტის დროულად შემუშავებას, საარჩევნო კანონის განმტკიცებას და არჩევნების მოწყობას. ყველაფერი ეს გაგვიადვილებს გარდამავალი ეტაპის სირთულეთა დაძლევას, ქვეყნის მთელი ცხოვრების საქმიან რელსებზე გადაყვანას. ასეთია დროის კარნახი. ვფიქრობ, ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ევროკავშირთან საქართველოს თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის შესახებაც წუხელ იყო საუბარი.

— ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე ხშირად საუბრობენ უცხოელი ექსპერტები და საერთაშორისო ორგანიზაციები ჩვენთან დაკავშირებით.

გასულ კვირას საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ 26 მაისთან დაკავშირებით, ამნისტია გამოაცხადა. ზოგის აზრით, — ზედმეტად მწირი პუნქტებით, ზოგი კი მიიჩნევს, რომ ეს ამნისტია კიდევ უფრო გაართულებს შედარებით დამშვიდებულ კრიმინოგენურ ფონს...

— ასეთ შეშფოთებას, ალბათ, აქვს საფუძველი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც ადრე ხდებოდა. წინა წლებისაგან განსხვავებით, ახლანდელი ამნისტია შეეხო იმ ადამიანებს, რომლებსაც არ ჩაუდენიათ მძიმე დანაშაულობანი, განსაკუთრებით შეეხო იგი ქალებს, არასრულწლოვნებსა და მოხუცებს. ეს მართლაც ჰუმანური, ნორმალური აქტია, რომელიც გარკვეულ გავლენას მოახდენს. მჯერა, რომ კრიმინოგენური ვითარების სერიოზული გართულება მოსალოდნელი არ არის.

სამართალდამცავ ორგანოებს ახლა უკვე ჰყავთ საკმაო ძალები იმისათვის, რომ მოვლენათა ბატონ-პატრონები იყვნენ, თუმცა, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან მათი ბრძოლა სულაც არ არის დამთავრებული. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, ვინ წავიდა ჩრდილში — შეეფარა ჩირგვებს, რამდენი იარაღი, რამდენი საბრძოლო მასალაა გადანახული და სხვა. სამართალდამცავმა ორგანოებმა თავისი საქმე უნდა აკეთონ, რათა კანონიერება ზეიმობდეს ყველგან და ყველაფერში.

რაც შეეხება იარაღთან დაკავშირებულ პერიპეტიებს, ვფიქრობ, პარლამენტი სწორად მოიქცა, როცა შესაბამისი მუხლის საფუძველზე გასამართლებულ პირთა მიმართ შეღავათების გავრცელების საკითხი მიანდო შეწყალების კომისიას ანუ სახელმწიფოს მეთაურის სამსახურს.

— გასული საპარლამენტო კვირის ყურადღების ცენტრში იყო სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულთა და სამხარეო მოწყობის საკითხი. მოგვიანებით თქვენ შეხვდით რწმუნებულებს, რომლებმაც სხვა საკითხებთან ერთად ერთი მნიშვნელოვანი თემაც წამოჭრეს: ვის არ აძლევს ხელს რწმუნებულის ინსტიტუტი? — ასე დასვეს მათ კითხვა და თავადვე გასცეს პასუხი: რწმუნებულის ინსტიტუტი ხელს არ აძლევს გამგებლების, საწარმოთა ხელმძღვანელების ნაწილს და მინისტრთა კაბინეტის ზოგიერთ წარმომადგენელს, ანუ იმათ, ვინც რეალურ ეკონომიკურ ძალაუფლებას ფლობს და არ უნდა მისი დაკარგვა. თქვენ წამოაყენეთ წინადადება, რომ აუცილებელია რწმუნებულებისა და მინისტრთა კაბინეტის წევრების შეხვედრა. უნდა ვივარაუდოთ, ეს ძალიან მძაფრი შეხვედრა იქნება...

— რწმუნებულთა საქმიანობამ მთელი საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ჩემი აზრით, ეს ცუდი არ უნდა იყოს. უნდა დავაზუსტოთ: რწმუნებულებსა და გამგებლებს შორის რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა არ არსებობს, არის ჩვეულებრივი დისკუსია უფლებათა უფრო ზუსტი გამიჯვნისა და ზუსტი განსაზღვრის გამო. რაც შეეხება სამინისტროებთან დაკავშირებით რწმუნებულთა მძაფრ გამოსვლებს, დირექტორატის შესახებ სერიოზულ შენიშვნებსა და სხვა, ვფიქრობ, ეს ელემენტარული ამბავია. დაობენ და პრეტენზიებს აცხადებენ ისინი, ვისაც არ სურს, გადაიხადოს დაწესებული გადასახადი, ან ცალკეული დირექტორები, კერძო თუ სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელები, რომლებიც კმაყოფილი არიან თავიანთი ბედით და არ ფიქრობენ იმაზე, რომ უზარმაზარი პოტენციალი გამოიყენონ ხალხის დასაქმებისა და ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის. ამ მხრივ, შენიშვნები სავსებით ნორმალური და კანონზომიერია.

რაც შეეხება რწმუნებულთა მძაფრ გამოსვლებს რესპუბლიკის აღმასრულებელი რგოლის შესახებ (მხედველობაში მაქვს მინისტრთა კაბინეტი), მიმაჩნია, რომ შენიშვნები სამართლიანია. ეს ზერელე განცხადებები არ ყოფილა, ეს იყო კონკრეტული ფაქტები.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ რწმუნებულები, ძირითადად, ახალი ხალხია. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ადამიანის შეგნება, აზროვნება ეგუება და ეჩვევა ნაკლოვანებებს, ნეგატიურ მოვლენებს. მადლობა ღმერთს, რომ ჯერჯერობით ეს ინსტიტუტი ამით არ დაავადებულა. ეს ის ხალხია, ვინც ანგარიშვალდებულია სახელმწიფოს მეთაურის წინაშე, თუნდაც, აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე, მაგრამ მაინც ყველაზე მეტად ისინი პასუხისმგებელნი არიან ხალხის წინაშე. ისინი ასევე აგებენ პასუხს თავიანთი კოლეგების — გამგებლების წინაშე, რომლებიც ხანდახან უმწეო მდგომარეობაში ვარდებიან და რწმუნებულებს მიმართავენ. ამიტომ არავის არ უნდა გაუკვირდეს მათი მძაფრი რეაქცია ცალკეული დარღვევების, ნეგატიური გამოვლინებებისა და ხელისუფლების ცალკეული რგოლების უყურადღებობის გამო. რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ რწმუნებულთა ინსტიტუტი აუცილებელია და მათი საქმიანობაც საკმაოდ შედეგიანია. თუმცა, მათ მუშაობაში ბევრი რამ ძალიან სერიოზულ ყურადღებას, დახვეწას და სრულყოფას მოითხოვს. ეს პროცესი ახლა უკვე მიმდინარეობს.

— იუნესკოს გადაწყვეტილებით მცხეთა გამოცხადდა ქალაქ-ნაკრძალად. გარდა ამისა, მცხეთა ადმინისტრაციული ცენტრიც არის. გასულ კვირას, თქვენ ეწვიეთ ამ ქალაქს და საშუალება გქონდათ, გენახათ რწმუნებულის საქმიანობის შედეგებიც...

— მცხეთა-მთიანეთი დიდი მომავლისა და პერსპექტივების რეგიონია. მცხეთის ქალაქ-მუზეუმად აღიარება, მთავარი ძეგლების მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის განსაკუთრებულ ობიექტებად აღიარება ჩვენი ძველი დედაქალაქის ახალი ცხოვრების დასაწყისია. მე მოვუსმინე ამ ზონის რწმუნებულს, მის კოლეგებს ახლო რეგიონებიდან, გამგებლებს, კონკრეტული მაგალითით დავრწმუნდი, რამდენად მნიშვნელოვანია მათი შეთანხმებული, კარგად კოორდინირებული მუშაობა. მე ვიხილე გამოცოცხლებული, გახალისებული მცხეთა, რომლის სტუმრებიც იყვნენ მხარეში შემავალი ყველა რაიონის წარმომადგენლები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მოხუცები, დელეგაციები აჭარიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, შიდა და ქვემო ქართლიდან.

ამ ღონისძიების შემდეგ გაიმართა თათბირი, რომლის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა თბილისის მერი ნიკო ლეკიშვილი. საერთოდ ამ მხარის განვითარებაზე ლაპარაკი თბილისის აქტიური მონაწილეობის გარეშე, ისევე, როგორც შიდა და ქვემო ქართლის გარეშე, ალბათ, წარმოუდგენელია. კარგია, რომ ქალაქის მერია ამ მხრივ დიდ ინტერესსა და ინიციატივას იჩენს. დაისახა დედაქალაქისა და რეგიონების თანამშრომლობის საინტერესო გზები. არის პრობლემები, რომლებიც მოითხოვს მინისტრთა კაბინეტის სასწრაფოდ ჩარევას, განსაკუთრებით ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების ტრასების მოწესრიგებასთან დაკავშირებით. ასე რომ, როგორც უნდა გაბოროტდნენ ზოგიერთები (მაპატიეთ ამ გამოთქმისათვის), ცხოვრება მაინც წინ მიდის, თუმცა, სიდუხჭირე და უსახსრობა ჯერ კიდევ არ არის დაძლეული.

— გასულ კვირას, საქართველოსა და თანამეგობრობის ზოგიერთი ქვეყნის სპეცსამსახურებს შორის დაიდო ხელშეკრულება ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ. თქვენ შეხვდით რუსეთის სპეცსამსახურის პირველ პირს სერგეი სტეპაშინს. როგორია თქვენი კომენტარი ამ შეხვედრისა და თბილისში გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ?

— ეს საერთაშორისო ღონისძიება იყო. საერთოდ კი, ასეთი სახელმწიფოთაშორისი ღონისძიება ყოველგვარ მხარდაჭერასა და მოწონებას იმსახურებს. შედეგი უდავოდ კარგი და სასიხარულოა. თანამეგობრობის ფარგლებში ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლა მხოლოდ კარგად ორგანიზებულ და სათანადოდ კოორდინირებულ სამსახურებს შეუძლიათ. საყურადღებოა, რომ ამ დღეებში თბილისში, შინაგან საქმეთა მინისტრების შეკრებაც გაიმართება. ყველაფერი ეს აფართოებს ჩვენს შესაძლებლობებს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ხალხი ასეთ ღონისძიებებს უდავოდ მიესალმება.

რაც შეეხება სერგეი სტეპაშინთან შეხვედრას, ეს უდავოდ საინტერესო და სასარგებლო საუბარი იყო. იგი შეეხო საკითხთა უფრო ფართო სპექტრს, მათ შორის კონფლიქტებთან დაკავშირებულ პრობლემებს. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენი პოზიციები და შეხედულებები აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საკითხში თითქმის იდენტურია. და ეს ითქმის არა მარტო ბატონ სტეპაშინზე, არამედ საქართველოსა და რუსეთის ხელმძღვანელობაზეც. ვფიქრობ, უახლოეს დროში კონკრეტული შედეგებიც გვექნება.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

დადგენილება მოქმედებს

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ახალციხეში გამართა გამსვლელი სხდომა, რომელზეც განიხილეს სამცხე-ჯავახეთის მხარის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დამატებით ღონისძიებათა საკითხი.

1994 წლის შედეგების მიხედვით სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველა კატეგორიის მეურნეობებში მკვეთრად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება. არ უმუშავია სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობას, ნაკლოვანებებია მხარის რაიონების მიერ ადგილობრივი ბიუჯეტის და რესპუბლიკის ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შესრულებაში და სხვ.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც რესპუბლიკის სამინისტროებს, კომიტეტებს, დეპარტამენტებსა და უწყებებს დაევალა დახმარება აღმოუჩინონ სამცხე-ჯავახეთის რეგიონს არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

საგაზაფხულო სამუშაოებისათვის რეგიონს უკვე გამოეყო 504 ტონა დიზელის საწვავი. კონცერნ „საქნავთობპროდუქტს" დაევალა საწვავ-საცხები მასალების დამატებით მიწოდება, თუკი რეგიონის ხელმძღვანელობა განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს ნავთობპროდუქტების დავალიანების ორ თვეში დაფარვისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის სახელმწიფო კორპორაციას, რომელიც მობილიზებულად ახორციელებს პურით მომარაგებას რეგიონში, დაევალა ყოველკვარტალურად დამატებით გამოუყოს რეგიონს 120 ტონა ფქვილი მაკარონისა და ვერმიშელის წარმოებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ ერთი თვის განმავლობაში უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი შარაბის ისტორიული კომპლექსის ნაკრძალად გამოცხადების შესახებ და სხვა.

რიგმა რესპუბლიკურმა ორგანოებმა უკვე შეასრულეს მინისტრთა კაბინეტის აღნიშნული დადგენილებით მიღებული დავალებები, კერძოდ:

დეპარტამენტმა „საქენერგომ" დაამტკიცა ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკი და შეუდგა მის შესრულებას;

- სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტმა 4 მაისიდან დანიშნა მატარებელი, რომელიც მოძრაობს თბილის-ვალეს ხაზზე;

კავშირგაბმულობის სამინისტრომ ჩაატარა საჭირო აღდგენითი სამუშაოები და ნინოწმინდის რაიონის მოსახლეობა უკვე იღებს საქართველოს ტელევიზიის გადაცემებს.

დადგენილების დანარჩენი პუნქტების შესრულების ვადები მკაცრად განსაზღვრულია. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებელი მუშაკები კონტროლს უწევენ დადგენილების შესრულებას.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

საუბარი საკონსულტაციო ჯგუფის წევრებთან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ქართულ-ოსურ კონფლიქტზე მომუშავე საკონსულტაციო ჯგუფის წევრები რუსეთის ფედერაციიდან.

შეხვედრაზე ილაპარაკეს კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე. აღინიშნა, რომ პრობლემები მრავლად არის, მაგრამ დღესდღეობით იგრძნობა პოზიტიური ძვრები ამ საკითხების გადაწყვეტაში.

სახელმწიფოს მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ საკონსულტაციო ჯგუფი კვლავაც ინტენსიურად გააგრძელებს მუშაობას.

შეხვედრას ესწრებოდა რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

„შეხვედრები საქართველოში ძალზე საქმიანი და კონსტრუქციული იყო"

ამ დღეებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა დელეგაციას, რომელშიც შედიოდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების უშიშროებისა და სპეცსამსახურების ხელმძღვანელები.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს სახელმწიფოს მეთაურს, ქართველ კოლეგებს, მთელ ქართველ ხალხს გულთბილი მიღებისათვის და აღნიშნეს, რომ შეხვედრები საქართველოში ძალზე საქმიანი და კონსტრუქციული იყო.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, თანამეგობრობის ქვეყნების სპეცსამსახურებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ გადაწყვეტილება რამდენიმე თვის წინათ იყო მიღებული მოსკოვში, სადაც პირველი ასეთი შეხვედრა გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ სპეცსამსახურებს შორის არსებობდა სხვადასხვაგვარი ორმხრივი ურთიერთობა, აუცილებელი გახდა მოქმედების უფრო მჭიდრო კოორდინაცია მრავალი აქტუალური პრობლემის გადასაწყვეტად, და უწინარესად ისეთ საკითხში, როგორიც არის ბრძოლა ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ.

აღინიშნა, რომ საქართველოში ყოფნისას ხელი მოაწერეს ბევრ მნიშვნელოვან დოკუმენტს, მათ შორის ტერორიზმთან ბრძოლის, მონაცემების ერთიანი ბანკის შექმნის, ტექნიკური თანამშრომლობის, კადრების გაცვლისა და მომზადების შესახებ.

შეხვედრის დასასრულს სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა თბილისში გამართული შეხვედრების დიდი მნიშვნელობა, კერძოდ, მან თქვა, რომ თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის სფეროში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების აუცილებელი პირობაა ორგანიზებული დამნაშავეობის, ტერორიზმისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით ბრძოლა.

ანტისემიტიზმის საწინააღმდეგო საპარლამენტთაშორისო საბჭო

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ბატონი ვახტანგ გოგუაძე აირჩიეს ანტისემიტიზმის საწინააღმდეგო საპარლამენტთაშორისო საბჭოს საპატიო წევრად. საბჭოს შტაბ-ბინა დიდ ბრიტანეთშია. მისი საპატიო წევრები არიან მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოთა პრეზიდენტები, პარლამენტის სპიკერები და პრემიერ-მინისტრები (სულ 37 წევრი 35 ქვეყნიდან), მათ შორის დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბატონი ჯონ მეიჯორი, გერმანიის პარლამენტის სპიკერი ქალბატონი რიტა ზისმუნდი, ურუგვაის პრეზიდენტი ბატონი ლუის ლაკალე, ბულგარეთის პრეზიდენტი ბატონი ჟელე ჟელევი, იტალიის პრეზიდენტი ოსკარ ლუიჯი სკალფარო და სხვები. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ამ საბჭოს საპატიო წევრები არიან ლიტვის, ლატვიის და უზბეკეთის პრეზიდენტები, ყაზახეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს შემადგენლობაშია 1000 მუდმივმოქმედი წევრი, რომლებიც მსოფლიოს 86 პარლამენტიდან და ევროპარლამენტიდან არიან არჩეული.

საუბრები ეკონომიკაზე

რეფორმა შეუქცევადი გახდა

ვფიქრობ, სადღეისო გასაჭირით თავგზააბნეული მკითხველი შეიძლება შეაცდინოს ისეთმა „საუბრებმა ეკონომიკაზე", როგორიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 11 მაისის ნომერში იყო გამოქვეყნებული ბატონ მიხეილ ჯიბუტის ავტორობით.

ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მაქვს ის თეორიული სენტენციები, რომლებიც ავტორს ეკონომიკის სახელმძღვანელოებიდან აქვს ამოღებული და სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. არც იმაზე შეიძლება შეედავო ავტორს, როცა სამართლიანად აღნიშნავს: პოსტ-კომუნისტური ეკონომიკური ურთიერთობები გარდამავალი ხასიათის გამო უამრავ სიძნელეს აწყდება. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპზე უაღრესად ძნელი და სარისკოა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე ურთულესი პროცესების ასე ახლო დასანახიდან ისევ ეკონომიკის სახელმძღვანელოებიდან ამოღებულ რომელიმე თეორიული დებულების ჩარჩოებში მოქცევა, მასზე დამაჯერებელი მსჯელობა და პრეტენზიული დასკვნების გაკეთება. საკითხისადმი ასეთი მიდგომა გარდაუვლად მიგვიყვანს უშედეგო არაკონსტრუქციულ კრიტიკანობამდე.

ქვეყანაში მიმდინარე რადიკალური ეკონომიკური რეფორმების ერთიანი პროცესიდან „კუპონის გამაგრების" საკითხის ხელოვნურად ამოგლეჯა და მისი როგორც განყენებული პრობლემის განხილვა მდგომარეობის ანალიზისათვის მცდარი გზაა. თუ იგი გულუბრყვილობის შედეგია, და დანაშაულია, თუკი წინასწარგანზრახულად, მკითხველისა და საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად და თავგზის ასაბნევად კეთდება.

მიუხედავად განსაკუთრებული ხასიათის სირთულეებისა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა განიცდის ომის, სატრანსპორტო ბლოკადის, კრიმინოგენული სიტუაციის, კავშირების მოშლისა თუ სხვა უამრავი მიზეზით, იგი მაინც ექვემდებარება გარკვეულ პროგნოზირებას და ეს პროგნოზები ყველა შემთხვევაში ოპტიმისტური ხასიათისაა. ეს ოპტიმიზმი არც პროპაგანდისტული ნიღაბია და არც ხელისუფლების ილუზიები. იგი ეყრდნობა სხვადასხვა დროში და დღესაც მეტნაკლებად ჩვენს ბედში მყოფი ქვეყნების ისტორიულ გამოცდილებას, სტაბილურ პოლიტიკურ პირობებში საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებას, უმაღლესი ხელისუფლების ერთხელ და სამუდამოდ აღებულ რეფორმატორულ კურსს და ხალხის ნებას, რომელიც დღეს ცალსახად უჭერს მხარს რეფორმებს და მომავლის იმედით იტანს უკიდურეს ეკონომიკურ სიდუხჭირეს.

დღეს შეიძლება და ადვილიც არის ვაკრიტიკოთ ქვეყნის ხელისუფლება. (გასაკრიტიკებელი მართლაც ბევრია), მაგრამ ძალიან ძნელია შევთავაზოთ მას მოქმედების სხვა, უკეთესი გზა, მივცეთ კონკრეტული წინადადებები, დავძლიოთ დიდი საერთო მიზნებისათვის ვიწროპარტიული ინტერესები და ამბიციები, მხარში ამოვუდგეთ უაღრესად მძიმე პირობებში მოქმედ ხელისუფლებას და ერთიანი ძალით დავაჩქაროთ ეკონომიკის მოდერნიზაციისა და რეფორმირების შეუქცევადი პროცესი. შიშველი კრიტიკა და ისიც პოლიტიკური თამაშების სახით დღევანდელ საქართველოში მორალსმოკლებული ქცევაა და ჩვენ ამის უფლება ამ ეტაპზე არ გაგვაჩნია.

არაფერია ახალი იმაში, რომ კუპონი არ არის სათანადო დონის ეროვნული ვალუტა, რომ იგი არ არის რესპუბლიკაში ერთადერთი საგადამხდელო საშუალება, რომ ბრუნვაშია რუსული მანეთი, ამერიკული დოლარი, გერმანული მარკა, ინგლისური სტერლინგი და ყველა სხვა ქვეყნების კონვერტირებადი ვალუტა. დღეს მხოლოდ „ბორჯომის" წყლის იმედზე მყოფმა ეკონომისტებმა შეიძლება უარყონ და ეროვნულ შეურაცხყოფად მიიღონ საქართველოს ეკონომიკის რუსეთის ეკონომიკასთან კავშირი და დამოკიდებულება. საქართველოს მეწარმეები და ბიზნესმენები დღეს მრეწველობის ამოქმედებისა და სასიცოცხლო ბაზრის მოპოვების მთავარ გზას რუსეთთან და სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან კავშირების აღდგენაში ხედავენ.

ჩვენს ინტერესებში არ შედის დაძაბული რუსეთთან მეზობლობა და ურთიერთობა და იგი არც დაიქცევა. რუსეთშიც ძნელად, გაჭირვებით, შეცდომებით, მაგრამ განუხრელად ხორციელდება რეფორმატორული ეკონომიკური პოლიტიკა. დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობაში შემავალ სახელმწიფოებს შორის უმაღლეს დონეზე იდება ხელშეკრულებები საბანკო, საფინანსო, სამრეწველო კოოპერაციის, კოლექტიური უშიშროებისა და სხვა ძირითადი მიმართულებებით თანამშრომლობის შესახებ. თანამეგობრობის ჩარჩოებში იქმნება შემავალი ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის დამცავი მექანიზმები. შესაბამისი წარმომადგენლობითი სახელმწიფოთაშორისო სტრუქტურებით. საქართველოს ხელისუფლება, მიუხედავად თანამეგობრობის განვითარების პროცესში დიდი დაგვიანებით ჩართვისა, თანდათანობით იმკვიდრებს მის სტრუქტურებში თავის შესაფერ ადგილსა და ავტორიტეტს.

რაც შეეხება კუპონის კურსის გარშემო ატეხილ ვნებებს, იგი დღეს უკვე ხელისუფლებისათვის მხედველობაში მისაღები აღარ არის, ვინაიდან კრიტიკა ამ მიმართულებით მხოლოდ და მხოლოდ არაპერსპექტიულ და უშედეგო პოლიტიკურ თამაშს წარმოადგენს.

კუპონის კურსის შთამბეჭდავი აწევა როგორც ბანკთაშორის, ასევე საბანკო სისტემის მიღმა მოქმედ სავალუტო ბაზარზე იმას მოწმობს, რომ საქართველოს ეკონომიკა, განსაკუთრებით კი მისი ფინანსური სფერო სტაბილიზაციის ფაზაში შევიდა და ეს პროცესი დღითიდღე სულ უფრო რეალური და თვალსაჩინო ხდება.

ყოველივე ეს არ მოსულა თავისთავად. ამ პროცესს წინ უსწრებდა კუპონის დევალვაციის წელიწადნახევრიანი პერიოდი, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ჩვენი ქვეყნისათვის, ვაიპატრიოტების მცდელობით, სასიცოცხლოდ აუცილებელი სამეურნეო და ეკონომიკური კავშირების ჩაწყვეტით, კრიმინალური მაფიისა და პროვინციული ფაშიზმის ქვეყანაში თარეშით და, რა თქმა უნდა, ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებებით აფხაზეთში.

და მაინც კუპონის დრამატულ გაუფასურებაში ლომის წილი იმ არაადეკვატურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას მიუძღვის, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო უკონტროლო ემისია ანუ მიმოქცევაში მატერიალური ფასეულობით არაუზრუნველყოფილი დიდი ფულადი მასის გამოშვება. ქვეყნის ეკონომიკა ისე შეეჩვია ამგვარ დამღუპველ ფინანსურ ინექციებს, რომ თუ არა ხელისუფლებისა და ეროვნული ბანკის დიდი ძალისხმევა, იგი სრულ ეკონომიკურ კატასტროფამდე მივიდოდა. სწორედ ამ დამღუპველი ინერციის გამო 1994 წლის ივლის-აგვისტოში თავიდან ვერ ავიცილეთ 12 ტრილიონიანი საბიუჯეტო ემისია, რამაც ორჯერ დასცა კუპონის კურსი და აგვისტოს ბოლოს საბანკო სისტემის გარე სავალუტო ბაზარზე ერთ ამერიკულ დოლარში უკვე 5 მილიონ კუპონს იძლეოდნენ. ამ პერიოდისათვის იძულებით შეწყდა ვაჭრობები ბანკთაშორის ბირჟაზეც.

შექმნილ ვითარებაში ეროვნული ბანკი დადგა დილემის წინაშე: — ან ჰიპერინფლაციური პროცესის შეჩერება ან ქვეყნის ეკონომიკის საბოლოო კრახი ყველა აქედან გამომდინარე სოციალური და პოლიტიკური შედეგებით. ასე რომ, ეროვნულ ბანკსა და ხელისუფლებას არც დიდი არჩევანი ჰქონდა და არც დრო ამ ურთულეს პრობლემაზე პოლიტიკური დებატების მოწყობისა.

შექმნილი სიტუაციის დრამატიზმიდან გამომდინარე, ეროვნულმა ბანკმა და ხელისუფლებამ ერთი თვის განმავლობაში გადადგა რამდენიმე ფრიად სერიოზული ნაბიჯი, რამაც საბოლოო ჯამში საფუძველი ჩაუყარა ქვეყანაში ფინანსურ სტაბილიზაციას. ამ ნაბიჯთაგან საკმარისია აღინიშნოს საკრედიტო ემისიების შეზღუდვა, საბიუჯეტო ანგარიშების ეროვნულ ბანკში გადმოტანა, მიმოქცევაში ფულადი მასის მკაცრი რეგულირება, ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების გაზრდა, პურსა და ენერგომატარებლებზე ფასების გადიდება (რეალურ ღირებულებასთან მიახლოება), ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე ავტომატური სადებეტო ნაშთის წარმოქმნის მანკიერი პრაქტიკის გადალახვა და სხვა.

კუპონის რევალვაციის პროცესი, ყველა ზემოთჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად, საგრძნობლად დააჩქარა თბილისის ბანკთაშორისი ბირჟის აღდგენამ გასული წლის 19 სექტემბრიდან, რასაც ეროვნული ბანკის დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ამავე დროს მოიხსნა ყოველგვარი შეზღუდვები კომერციული ბანკების საბირჟო ოპერაციებზე. ნაღდი ვალუტის ნაღდი ანგარიშსწორებით გაყიდვის პრაქტიკა შეიცვალა უნაღდო ვალუტის როგორც უნაღდო ისე ნაღდი ანგარიშსწორებით გაყიდვით.

ყოველივე ამით საფუძველი ჩაეყარა და დაიწყო კუპონის კურსის განუხრელად განმტკიცება. ეროვნული ბანკი და ხელისუფლება მტკიცედ დაადგა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებში მოცემული მოთხოვნების ცხოვრებაში გატარებას. ამის შედეგად უკვე დეკემბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს გამოეყო სისტემური, გარდაქმნების მექანიზმის სახით, პირველი კრედიტი 40 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით. ამ კრედიტმა კი საბოლოოდ შეუქცევადი ხასიათი მისცა ქვეყანაში ფინანსური სტაბილიზაციის პროცესს. ეროვნულ ბანკს საშუალება მიეცა გაეტარებინა აქტიური საკურსო პოლიტიკა ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის მეშვეობით. მიმდინარე წლის დასაწყისიდან სავალუტო ბირჟის ყოველკვირეულმა ბრუნვამ უკვე ერთ მილიონ დოლარს გადააჭარბა, რაც ქვეყანაში საფინანსო ურთიერთობების გამოცოცხლებაზე მეტყველებს. საგულისხმოა ისიც, რომ სადღეისოდ კუპონებით ამერიკული დოლარის შესყიდვისა და გაყიდვის კურსები მხოლოდ 5-6 პროცენტით აღემატება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ოფიციალურ კურსს. არადა, გასული წლის პირველ ნახევარში სხვაობა 40-60 პროცენტს შეადგენდა. ასე რომ, იმის გარკვევას, მართლა გამყარდა ქართული კუპონის კურსი თუ არა, არ სჭირდება დიდი მეცნიერული ანალიზი თუ ექსკურსი ეკონომიკურ თეორიებში. კუპონი ნამდვილად გამყარდა და ქვეყანაში ნამდვილად ჩაეყარა საფუძველი ფინანსური სტაბილიზაციის რთულ, ხანგრძლივ, მაგრამ შეუქცევად პროცესს. ამაში თვალნათლივ დარწმუნდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელი და აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი მიშელ კამდესიუ ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოში ვიზიტისა და სახელმწიფოს მეთაურთან ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან მოლაპარაკების დროს. მან თვალნათლივ დაინახა, რომ ქვეყანაში დაწყებულია და ხორციელდება რადიკალური ეკონომიკური რეფორმები, მიმდინარეობს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის რთული პროცესი, შემუშავებულია და დამზადებულია ცხოვრებაში გასატარებლად რიგი სახელმწიფო სტრუქტურების რეორგანიზაცია, დაიწყო მოსახლეობაზე საპრივატიზაციო ბარათების გაცემა, მიმდინარეობს ფასების შემდგომი ლიბერალიზაცია, რომლის გარეშეც არ დამკვიდრდება ნამდვილი საბაზრო ურთიერთობები, იხვეწება საგადასახადო კანონმდებლობა და სისტემა, პოზიტიური ძვრებია საბაჟო სამსახურების საქმიანობაში, დღითი-დღე უმჯობესდება კრიმინოგენური მდგომარეობა ქვეყანაში, გვაქვს დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტი. საფუძველი ჩაეყარა ქვეყანაში მესაკუთრეთა ახალი ფენის ჩამოყალიბებას.

ყოველივე ეს დაინახა ბატონმა მიშელ კამდესიუმ და აღუთქვა სახელმწიფოს მეთაურს სისტემატური კრედიტებით დახმარება და სავალუტო ფონდის მხარდაჭერა.

სამწუხაროა, რომ ამ სასიკეთო ძვრებს ვერ ხედავენ ან არ უნდათ დაინახონ ზოგმა სხვადასხვა მიზეზით ოპოზიციონერობას ამოფარებულმა ჩვენმა თანამოქალაქეებმა. ეტყობა მათ პოლიტიკურ მიზნებში არ შედის ამ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური, ფინანსური თუ სხვა მიმართულებებით სტაბილიზაცია. მრავალტანჯული ქართული კუპონი კი, როგორც შუალედური ეროვნული ვალუტა, ასრულებს თავის დანიშნულებას. მასთან ურთიერთობამ ბევრი რამ გვასწავლა ფულად-საკრედიტო სისტემის მართვის საქმეში. რაც მთავარია, მკაცრი საფინანსო პოლიტიკის შედეგად შეჩერდა ეკონომიკის დამანგრეველი ინფლაციური პროცესები და მნიშვნელოვნად გამყარდა კუპონის კურსი. ის დღეს, მართალია, არ არის ქვეყანაში ერთადერთი საგადამხდელო საშუალება, მაგრამ არის ერთ-ერთი მათგანი. დღეს ობიექტურად მომწიფებულია და შესაძლებელია კუპონის ქვეყანაში ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად ქცევა, მაგრამ აქ საჭიროა დაფიქრება, ღირს თუ არა ეკონომიკური თვალსაზრისით ამის გაკეთება და ხომ არ აჯობებდა ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარების გადადება ახალი ეროვნული ვალუტის შემოღებამდე. ამ საკითხებზე მიმდინარეობს ჩვენი სპეციალისტების საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებთან ერთობლივი მუშაობა და იმედია, რომ ამ მიმართულებით უკვე შეძენილი გამოცდილება თავიდან აგვაცილებს ადრე დაშვებული შეცდომების განმეორებას ფულად-საკრედიტო სისტემის მართვაში. ფინანსური სტაბილიზაციის პროცესი უთუოდ თავის დადებით გავლენას მოახდენს და გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკის თანდათანობით გამოცოცხლებას. ყველა პრობლემა, მით უმეტეს ეკონომიკაში, ერთდროულად და ერთი ხელის მოსმით არ წყდება. ეკონომიკის გაჯანსაღებისა და სტაბილიზაციის პროცესი ექვემდებარება გარკვეულ თანამიმდევრობას და კანონზომიერებას, რომელსაც შეიძლება არ გავუწიოთ ანგარიში საგაზეთო სტატიაში, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით რეფორმების ცხოვრებაში გატარების დროს.

აქედან გამომდინარე, განზე გამდგარ კრიტიკისმოყვარულ პოლიტიკოსებს ამ ეტაპზე „შემოქმედებისათვის" ჯერ კიდევ დიდი გასაქანი რჩებათ: — ქვეყანაში დაბალია ცხოვრების დონე, მაღალია ფასები, მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველია, ჯერჯერობით საჭირო ტემპებით ვერ ამუშავდა მრეწველობა, პრობლემებია სოფლის მეურნეობაში, ცუდად მუშაობს ტრანსპორტი, გვაკლია ენერგორესურსები.

ყველა ჩამოთვლილ და სხვა ქვეყნის წინაშე მდგარ უამრავ პრობლემას უფრო ჩქარა მოვაგვარებთ თუ ისეთი პროფესიონალები, როგორიც ბატონი მიხეილ ჯიბუტია, ნაცვლად არაკონსტრუქციული კრიტიკისა, ჩადგებიან რეფორმატორთა რიგებში და თავის უნარსა და გამოცდილებას მოახმარენ ამ პრობლემების გადალახვის ოპტიმალური გზებისა და საშუალებების მოძიებას.

შოთა დავითაშვილი,
ეკონომისტი.

კულუარები

ვისთვის არაფერი მომხდარა, ვისთვის—პირიქით

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა და მთავრობათა თავმჯდომარეების მინსკის სამიტი (26 მაისი) მიმომხილველებმა ჩვეულებრივ შეხვედრად შეაფასეს, რომელსაც მხოლოდ ძვრები არ მოჰყოლია.

ეს იყო ჩვეულებრივი სამუშაო შეხვედრა, ზოგი საკითხი, დღის წესრიგით განსახილველად გამოტანილი, განიხილეს და მიიღეს, ზოგს რამდენიმე ქვეყანა შეუერთდა, სხვამ თავი შეიკავა — ჯერ შევისწავლით, შემდეგ დავუბრუნდებითო.

ან რატომ უნდა ჰქონოდა ყველას ერთნაირი აზრი, ან ვის მოენატრა „საზეიმო ერთსულოვნება“ და „მტკიცე დარაზმულობა“?

მინსკის შეხვედრამ კიდევ ერთხელ, ვთქვათ ასე, სამუშაო ვითარებაში ხაზი გაუსვა თანამეგობრობის დემოკრატიულობას, ან, უფრო ზუსტად, — აქ ყველა ერთმანეთის აზრს პატივს სცემს, არც არავინ ზემოქმედებს სხვაზე, არც არავინ აილევს სხვას უფლებას ასეთი ზემოქმედებისა: მაღალი ღირსების ხალხი ზის მეთაურთა საბჭოში.

ასეთი ატმოსფერო არის იმ „სამუშაო ორგანოში“, რომელსაც ზოგი სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის თანამედროვე წარმონაქმნად მიიჩნევს, ზოგი — იმპერიის აღდგენის ინსტრუმენტად და ამ პოლარიზებულ მტკიცებათა მხარდამჭერთაგან, ეგებ, ცოტას თუ შეუხედია იქ, იმ საბჭოში.

ჩვენ მაინც ჩვენს საქმეს მივხედოთ, მით უფრო, რომ ამ შეხვედრაზე საქართველოსთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა, როგორიცაა აფხაზეთში სამშვიდობო კოლექტიური ძალების ყოფნის ვადის გაგრძელება.

ჯერ, ერთი დეტალი, რომელსაც ისე ჩავიკითხავთ ხოლმე, რომ მგონი, ყურადღებასაც არ ვაქცევთ. არადა, — ღირს.

ოფიციალურ დოკუმენტებში საკითხი ასეა ფორმულირებული: „აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებისათვის მშვიდობის მხარდასაჭერად კოლექტიური ძალების ყოფნის ვადის გაგრძელების შესახებ“.

მიაქციეთ ყურადღება: წერია „აფხაზეთში კონფლიქტი“ და არა „საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტი“, ან კიდევ სხვა რამ. რას ნიშნავს ასეთი ფორმულირება, მაინცა და მაინც ფართო განმარტებას, ალბათ, არც საჭიროებს. ეს არის ხაზგასმული გამოკვეთა კონფლიქტის ქვეყნის შიდა ხასიათისა, ამასთანავე, — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის იმ პრინციპისა, რომელსაც, როგორც იცით, აღიარებს თანამეგობრობის ყველა სახელმწიფო, და ეს არის მთავარი: დეტალში ჩატეული პრინციპი.

— გადაწყვეტილება მიღებულია, ვადა გაგრძელებულია. რას ნიშნავს, ეს ჩვენთვის, საქართველოსთვის? შეიძლება სამშვიდობო ძალების რაიმე ახალ მანდატზე საუბარი?

— არა. სამშვიდობო ძალების მანდატში საკმარისი უფლებები იყო ჩაწერილი. მაგრამ უძალო იყო, ვერ მოქმედებდა, — **კომენტარს უკეთებს ვარდიკო ნადიბაიძე, საქართველოს თავდაცვის მინისტრი.** — სამშვიდობო ძალების უფლებები გაფართოებულია. ამჟამად ისინი ლტოლვილებს არა მარტო დაეხმარებიან, არამედ შექმნიან მათი უვნებელი და უსაფრთხო დაბრუნებისთვის აუცილებელ პირობებს.

მთელი რიგი დოკუმენტებით განსაზღვრულია სამშვიდობო ძალების უფლებები და მოვალეობანი, მათი მოქმედების ჩარჩოები. ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტში, რომელიც სახელმწიფოთა მეთაურების საბჭომ დაამტკიცა, ჩაწერილია, რომ სამშვიდობო ძალებმა მოსახლეობის დაცვის მიზნით, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება გამოიყენონ იარაღიც კი. ეს ძალიან ძლიერი მომენტია.

— ვისი კანონებით იხელმძღვანელებენ ეს სამშვიდობო ძალები საქართველოსი, თუ ავტონომიური რესპუბლიკის.

— დოკუმენტში პირდაპირ არის ჩაწერილი, რომ ამ ძალების სარდალი თავის გადაწყვეტილებებს უთანხმებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს.

— ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც ხარისხით მაინც აფხაზეთზე გავრცელდება საქართველოს იურისდიქცია?

— რაღაც ხარისხით კი არა, სრულად. თვით საკითხის ფორმულირებაშია ეს ჩადებული. აფხაზეთისა და საქართველოს კონფლიქტი კი არა, კონფლიქტი აფხაზეთში. ეს ფორმულირება 19 აპრილს თავდაცვის მინისტრების საბჭოს სხდომაზე მივიღეთ, შემდეგ — თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოების ერთობლივ სხდომაზე 21 აპრილს. პაველ გრაჩოვმა პირდაპირ განაცხადა, რომ ფორმულირება აფხაზეთი-საქართველოს კონფლიქტი ისეთივე უაზრობაა, როგორც რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტი, რადგან ორივე სუვერენულ სახელმწიფოთა შიდა კონფლიქტებია.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენი ჯარის ნაწილები მიიღებენ მონაწილეობას აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში?

— არა, არ ნიშნავს. ჩვენი შეიარაღებული ძალები ამ საქმეში მონაწილეობას არ მიიღებენ. ეს არის სამშვიდობო ძალების მისია და, რა თქმა უნდა, — ადგილობრივი ადმინისტრაციისა, პოლიციის, მაგრამ სამშვიდობო ძალების კონტროლით.

— აფხაზეთის მხარე თუ იღებდა მონაწილეობას ამ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში?

— არც უნდა მიეღო მონაწილეობა. ასე გადაწყვიტეს სახელმწიფოთა მეთაურებმა. სხვას აქ ხელი არა აქვს.

— როდის შედის ძალაში მთელი მოცულობით სამშვიდობო ძალების ეს მანდატი?

— მინსკის შეხვედრების დამთავრებისთანავე. აქედან რომ გავემგზავრებით, მე და გენერალი იაკუშევი გადაწყვეტილების განხორციელების პრაქტიკულ ღონისძიებებზე შევთანხმდებით.

იწყება კიდევ ერთი, ალბათ, საბოლოო მოლოდინის პერიოდი. ვარდიკო ნადიბაიძე, როგორც სულით ხორცამდე სამხედრო, ბევრს არ ლაპარაკობს, მით უფრო, არ იტყვის იმას, რისი თქმაც ჯერ არ არის საჭირო. მაგრამ მისი საუბრის მაჟორული ინტონაციები იმედიან პერსპექტივას უნდა ნიშნავდეს, პრაქტიკულად იმედიან პერსპექტივას.

• • •

თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა პარლამენტთაშორისო ასამბლეის კონვენციას, რომელიც მესამე საკითხად განიხილეს, ისევე, როგორც დსთ კონვენციას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ, ზოგი ქვეყანა შეუერთდა, ზოგი — არა.

რას ნიშნავს პარლამენტთაშორისო ასამბლეა, რა ხილია? არის იგი სსრკ განახლების კიდევ ერთი ცდა თუ რუსეთის იმპერიის დამკვიდრების დროსთან შეხამებული ტაქტიკური ნაბიჯი? ან იქნებ, არც ისე საშიშია ეს ეშმაკი, და მხოლოდ ახალი ფორმაა თანამეგობრობაში ინტეგრირებული ქვეყნების სუვერენიტეტისა და უფლებების განმტკიცებისკენ მიმართული? ან კიდევ, — ხომ არ იწყება თანამეგობრობის რღვევა იმით, რომ რამდენიმე ქვეყანა არ შეუერთდა ამ კონვენციას?

— თანამშრომლობის ასეთი ფორმა მსოფლიო პრაქტიკაში ახალი არ არის. კონვენციის მეხუთე მუხლში გათვალისწინებულია ვარიანტი, რომ სახელმწიფოებს, რომლებიც ამ კონვენციას არ შეუერთდნენ, შეუძლიათ თავიანთი წარმომადგენლების მოვლინება პარლამენტთაშორისო ასამბლეაში დამკვირვებლების სტატუსით. — **ის გახლავთ ვლადიმერ შუმეიკო, რუსეთის პარლამენტის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე, რომელმაც არც ჩვენი შეკითხვები გაიკვირვა, არც ინტერვიუსთვის შეუფერებელი ადგილი ეხამუშა — კიბეებს შორის ბაქანი და სიამოვნებით ჩაერთო დიალოგში.**

— მგონი, ეს კარგი გადაწყვეტილებაა, რადგან ყველას აძლევს საშუალებას მონაწილეობა მიიღოს ასამბლეის მუშაობაში.

ახლა ბევრი თვლის, რომ ვინც არ ნანობს საბჭოთა კავშირის დაშლას, უგულოა, ვინც მის აღდგენაზე ფიქრობს, უთავოა.

თქვენ იცით, არსებობს მითი იმის შესახებ, რომ ბელოვეჟსკაია პუშჩაში სამმა ხელმძღვანელმა დაშალა საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირი დაიშალა იმიტომ, რომ დაიშალა სტრუქტურა, რომელსაც იგი ეყრდნობოდა — სკკპ. ეს პარტია კი არ იყო საუკეთესო გაგებით, არამედ — ძალაუფლების სტრუქტურა.

დღეს ყველა ლაპარაკობს, რომ საჭიროა თანამეგობრობის ქვეყნების უმჭიდროესი ინტეგრირება. მაგრამ ამისთვის აუცილებელია სხვა სტრუქტურა, რომელიც კომპარტიას შეცვლიდა, მამასადამე, შეცვლიდა საფუძველს. მაგრამ ეს სხვა სტრუქტურა სრულიად განსხვავებული უნდა იყოს. სკკპ იყო საფუძველი ტოტალიტარული, ცენტრალიზებული, მბრძანებლური, უმკაცრესი სამხედრო დისციპლინით, ჩვენ კი, ე. წ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა, ყველამ ავირჩიეთ განვითარების დემოკრატიული გზა. თავიდან, რომანტიკულ პერიოდში დემოკრატიად მივიჩნიეთ სიტყვის, პრესის, მიტინგების, დემონსტრაციების თავისუფლების გამოცხადება. მაგრამ ეს, მოგეხსენებათ, დემოკრატია არ არის, ეს გახლავთ მხოლოდ მაჩვენებელი ნორმალურად განვითარებული სამოქალაქო საზოგადოებისა. დემოკრატია არის ხელისუფლების ფორმა. მას აქვს ჩამოყალიბების როგორც საერთო წესები, ასევე კერძო მხარეები, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნულობასთან, პოლიტიკურ და ისტორიულ თავისებურებებთან და ა. შ.

ამიტომაა, რომ თანამეგობრობის ქვეყნებში დემოკრატიის, როგორც ხელისუფლების ფორმის ჩამოყალიბება ახლაღა მთავრდება. და სწორედ ამ დროს გამოიკვეთება ისეთი სტრუქტურის საჭიროება, რომელიც საერთო დემოკრატიულ საწყისებზე, მაგრამ მყარ საფუძველზე გაგვაერთიანებდა.

დსთ-ს ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო, მთავრობათა მეთაურების საბჭო და პარლამენტთაშორისო ასამბლეა არის სწორედ ის სამი ვეშაპი, რომელთაც შეუძლიათ გააერთიანონ სხვადასხვა ქვეყნების დემოკრატიული ფორმები, რათა უკვე ამ ახალ სტრუქტურაზე დამყარებით ავაგოთ დამოუკიდებელი ქვეყნების ახალი თანამეგობრობა.

ეკონომიკა პოლიტიკას უნდა უსწრებდეს. ამიტომ ყველაფერი, რაც ამ მაღალ ფორუმზე ხდება ეკონომიკის ინტეგრაციის თვალსაზრისით, პოლიტიკური ინტეგრაციის წინამორბედია.

სსრკ აღდგენა — უკან დაბრუნება შეუძლებელია. უნდა ვიყურებოდეთ წინ და მაშინ დავინახავთ ახალ წარმონაქმნს, რომელშიც ყველა თავისუფალია, სუვერენულია და ნამდვილად დამოუკიდებელია.

ამიტომ, მიმაჩნია, რომ კონვენციის მიღება დიდი და სერიოზული ნაბიჯია ამგვარი გაერთიანებისაკენ.

— თქვენ თქვით, რომ პოლიტიკა მისდევს ბიზნესს. პარლამენტთაშორისო ასამბლეა?

— ასამბლეა ზოგჯერ წინ უსწრებს და უნდა უსწრებდეს კიდეც ეკონომიკას.

თქვენ იცით, რომ დემოკრატიული მართვის საფუძველი არის კანონი. პარლამენტთაშორისო ასამბლეა ღებულობს მოდელურ კანონებს. ამ კანონებში თავმოყრილია ყველაფერი საერთო, რაც ამა თუ იმ საკითხის შესახებ არსებობს. მაგალითად, მოდელის სახით წარვადგინეთ სამოქალაქო კოდექსის პირველი ნაწილი და პარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომამ მიიღო იგი. რუსეთმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა კი მისი რატიფიცირებაც მოასწრეს. და გამოდის, რომ თანამეგობრობის 3 ქვეყანაში სამოქალაქო კოდექსები 90 პროცენტით ერთმანეთს ესადაგება. რა არის სამოქალაქო კოდექსი? ეს არის ის ეკონომიკა, რომელზეც ვსაუბრობთ: მოქალაქეთა დამოკიდებულება საკუთრებისადმი, საკუთრებათაშორისი დამოკიდებულება, მწარმოებელი ორგანიზაციები, ბანკები და ასე შემდეგ. აი, ეს გახლავთ ეკონომიკა. აქედან გამომდინარე კი — ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის იურიდიული ბაზის შექმნა, თანამშრომლობის გაადვილება.

გარდაქმნის პერიოდში კიდევ ერთი მითი დაიბადა ჭკვიანი და მოხერხებული ეკონომისტების შესახებ, რომლებიც დასხდებიან და მოიგონებენ ეკონომიკას: რაც უფრო განათლებულია ასეთი ეკონომისტი, მით უფრო უკეთესი იქნება ქვეყნისთვის. აი, ამ მითით სარგებლობენ პოლიტიკური პარტიები, როდესაც პროგრამებს იგონებენ და აცხადებენ, რომ როგორც კი ხელისუფლების სათავეში მოვლენ, დამყარდება მკაცრი ან რბილი სტაბილიზაცია. ხალხისთვის კი სულერთია, როგორი სტაბილიზაცია დამყარდება. მისთვის მთავარია მიიღოს ნორმალური ხელფასი და ამ ხელფასით იყიდოს ყველაფერი, რაც სჭირდება.

ეკონომიკა, როგორც ასეთი, ადამიანებში იბადება. სანამ ადამიანები არ აითვისებენ ეკონომიკურ ურთიერთობათა ახალ წესებს, სანამ ისინი თვალად არ დაიწყებენ მუშაობას ამ ეკონომიკაში, რამდენიც გსურთ, ილაპარაკეთ სტაბილიზაციაზე. პრაქტიკულად არაფერი შეიცვლება. სამოქალაქო კოდექსი მოქალაქეების ცხოვრების საფუძველს აძლევს. კოდექსს კი ასამბლეა ქმნის. არ მიიღებ ასეთ მოდელს, ვერ შექმნი ახალ ეკონომიკას, ვერ ააშენებ ახალ სახელმწიფოს.

ასამბლეის ამასწინანდელ სხდომაზე ორი მოდელი მივიღეთ: სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები. ეს ძალიან სერიოზული ნაბიჯია დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში. ერთი ქვეყნის დამნაშავე სხვა ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსს ვერ შეაფარებს თავს.

სხვა მაგალითებიც არის, როდესაც ასეთი კანონმდებლობა ეკონომიკას წინ უსწრებს, ან პარალელურად მაინც მიჰყვება.

ახლა სერიოზულ სიტუაციაში ნისლზე რომ დავიწყო ლაპარაკი, ხომ გაგიკვირდებათ?

არადა, ნისლი დაგვხვდა ბელორუსიაში, აეროპორტიდან აგვედევნა და მთელი ის 40 კილომეტრი მინსკამდე რომანტიკულ ბურუსში გვაყურყუმალავა.

სანამდისაც თვალი გასწვდებოდა, გაშხვართული ავტოსტრადა პირწმინდად იყო ახვეტილი მანქანებისგან და ხალხისაგან, როგორც პატარძლის მიერ სტუმრის მოლოდინში დაგვილი ეზო.

გზის ჩაყოლებით ჩაფხუტიანი ომონელების საგუშაგოები აეროპორტში საზეიმო დახვედრის ცერემონიალის გაგრძელების ელემენტს უფრო ჰგავდა, ვიდრე მაღალი სტუმრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელ ღონისძიებას — ისეთი სიმშვიდე იწვა მწვანე ტყეთა შორის.

და იყო ნისლი და სიგრილე.

არმაზ სანებლიძე,
„სრ“ სპეც. კორ.

მინსკი-თბილისი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

საპარლამენტო ასამბლეა მოსკოვში

მოსკოვში 5 ივნისს დაიწყო და ხვალ გაგრძელდება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის (პაჩეს) სესია. ამ რეგიონულ ორგანიზაციაში, რომელიც ორი წლის წინათ შეიქმნა, ცხრა სახელმწიფო შედის — ალბანეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, მოლდავეთი, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი, უკრაინა. როგორც მეთვალყურენი, პაჩეს სხდომებს ესწრებიან ბულგარეთისა და საბერძნეთის წარმომადგენლები.

სატელეფონო ხაზზეა პარიზი

კვირას საღამოს საფრანგეთის პრეზიდენტის ინიციატივით გაიმართა სატელეფონო საუბარი რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინსა და საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკს შორის. ბოსნიასა და მის ირგვლივ მოვლენათა განვითარებასთან დაკავშირებით, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, ბორის ელცინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი მტკიცედ უჭერს მხარს ბოსნიის კრიზისის პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგებას.

სამაშველო სამუშაოები გრძელდება

კუნძულ სახალინზე ქალაქ ნეფტეგორსკში, სადაც ცხრა დღის წინათ კატასტროფული მიწისძვრა მოხდა, შენობების ნანგრევებიდან გამოყვანილია 1642 კაცი, დაღუპულად ითვლება 1286. სამაშველო სამუშაოები გრძელდება. გაეროს ექსპერტებმა ნეფტეგორსკში აღნიშნეს სამაშველო სამუშაოების კარგი ორგანიზაცია. მათი აზრით, საერთაშორისო საზოგადოებრიობამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს რუსეთს მიწისძვრისგან დაზარალებულებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში.

გამოაცხადეს საყოველთაო მობილიზაცია

ინტერფაქსის ცნობით, რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა ჩეჩნეთში აიღეს დუდაევის მომხრეთა ძირითადი ვედენოს ბაზა, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში თავდაცვისთვის ამზადებდნენ. ვედენოს მიმართულებით ჩეჩენთა დაჯგუფების განადგურებამ არსებითად შეცვალა ძალთა თანაფარდობა მთისწინა რაიონებში. ვედენოს დაკარგვის შემდეგ ბოევიკების კონტროლქვეშ მყოფ მთიან რაიონებში გამოაცხადეს საყოველთაო მობილიზაცია. ფედერალური ჯარები აგრძელებენ ოპერაციებს ბოევიკების განსადევნად მთისწინა რაიონებიდან.

შეხვედრა ბაკურეში

იორდანია-ისრაელის საზღვარზე — ბაკურეში გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ იორდანიის მეფე ჰუსეინი, ისრაელის პრემიერ-მინისტრი იცხაკ რაბინი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ჰელმუტ კოლი. განიხილეს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიან პროცესთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, რეგიონის წყლით მომარაგების ერთობლივი პროექტები. ამ პროექტების ღირებულება 400 მილიონ დოლარად არის შეფასებული. ევროპის კავშირი ფინანსურ დახმარებას შეჰპირდა ამ პროექტების განხორციელებაში. კანცლერ კოლის სიტყვით გერმანია დააფინანსებს მთელი ღირებულების 28 პროცენტს.

ჯერ გარიცხეს, ახლა საკითხს იხილავენ

გუშინ კუნძულ ჰაიტიზე მუშაობა დაიწყო ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ყოველწლიურმა სესიამ. როგორც აღნიშნავენ, განიხილავენ კუბის ამ ორგანიზაციაში მონაწილეობის შესაძლებლობის საკითხს. ამ ორგანიზაციიდან კუბა 1962 წელს გარიცხეს.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

იმედი, რომელიც საკუთარ შესაძლებლობებს ეფუძნება

(დასასრული)

შეხვედრა სამაჩაბლოდან ლტოლვილებთან, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ მწვავედ, ემოციურად წარიმართა. მოქალაქეთა კავშირის ცხინვალის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარემ ვასილ საბანაძემ, სამაჩაბლოდან ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარემ ფელიქს ქესანაშვილმა, ქურთის თემის გამგებელმა ვასილ დათაშვილმა, ლტოლვილმა ალექსი შერაზადიშვილმა, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა მიხეილ ცოტნიაშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს ქართველ-ოსთა კონფლიქტის დაძლევის გზებზე, კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური გზებით გადაჭრის აუცილებლობაზე.

ლიახვის ხეობის ტოპონიმიკაზე ისაუბრეს გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა სერგო ნადიმაშვილმა და პარლამენტარმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა მალხაზ ბარამიძემ.

შიდა ქართლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ბადრი ხატიძემ განაცხადა, რომ დაპირისპირებულ მხარესთან დიალოგი არ შეწყვეტილა, კვლავაც მიმდინარეობს. კონფლიქტის მოგვარება უნდა მოხდეს მხოლოდ ასე: თუ ცხინვალის რეგიონში ოსს ექნება გარკვეული სტატუსი, იგივე უნდა ჰქონდეს ქართველსაც. მაგრამ სტატუსამდე ჯერ უნდა მივიდეთ, რაც მთავარია, ქართული მოსახლეობა უნდა შევიდეს იქ და თავისი მიწა დაამუშაოს. ასევე უნდა გამოვიდეს და დაამუშაოს თავისი მიწა ოსმაც. შესაკეთებელია საირიგაციო სისტემა, რომლითაც ორივე მხარეა დაინტერესებული, ამ საკითხზე საქმიანი მსჯელობა მიმდინარეობს. კასპი, გორი, ხაშური მთლიანად უნდა მობრუნდნენ ცხინვალის რეგიონისაკენ. ოსებიც ამბობენ, ჩინურ კედელს ნუ ვიშენებთ, ჩვენც გვიჭირს, ჩვენც დახმარება გვჭირდებაო. ჩვენთვისაც და მათთვისაც დიდი პრობლემაა ნარკომანია. მარტო კრიტიკა საქმეს არ შველის. დავუდგეთ მხარში სახელმწიფოს მეთაურს, მთავრობას და საქმეს მივხედოთ. უკვე არის რაღაც წინსვლა. რაც შეეხება ყოფილი ოლქის სტატუსის საკითხს, იგი არ გადაწყდება საყოველთაო აზრის შეუჯერებლად. სამხარეო მოწყობის საკითხიც, ალბათ, ასევე რეფერენდუმის გზით გადასაწყვეტი იქნება.

ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ კავშირ „თანადგომის“ წევრებთან ერთად გაიზიარა სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის მოსაზრება ყოფილი ოლქის სტატუსისა და რესპუბლიკის სამხარეო მოწყობის თაობაზე. ხაზი გაუსვა, რომ ამის გადაწყვეტა მხოლოდ რეფერენდუმით უნდა მოხდეს. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტკივილების მოშუშება ისევ ჩვენი საქმეა. ჩვენ არ გვინდა კვლავ ომი, საკითხის ძალისმიერი გადაწყვეტა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ საქართველოს ინტერესები შეილახოს. რაც შეეხება ლტოლვილებსა და ლიახვის ხეობის 9 ქართულ სოფელს, მათ მართლაც მეტი დახმარება და ყურადღება სჭირდებათ, და ვეცდებით ეს საკითხი მთავრობის სამსჯელო გავხადოთო, თქვა ბატონმა ნუგზარმა.

საუბარი ხელთუბნის კოლმეურნეობაში.

იოსებ დავითაშვილის ფოტო.

საინტერესო საუბარი შედგა აგროფირმა „ხელთუბანში“, უშუალოდ ველზე, მშრომელებთან. ბატონმა თენგიზ კალანდაძემ მათ საინტერესო პრაქტიკული მოსაზრებები გაუზიარა მიწის დამუშავების თანამედროვე, საბაზრო ეკონომიკასთან მორგებულ მეთოდზე, რომელიც ახლა ინერგება აბაშის რაიონში და რომლის უშუალო მონაწილეც იგი არის.

გაიმართა შეხვედრა შიდა ქართლის რაიონების გამგეობათა ხელმძღვანელ მუშაკებთან, მსხვილ საწარმოთა მეთაურებთან. ითქვა, რომ რესპუბლიკაში ამჟამად მიმდინარე ღრმა ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისს ვერც შიდა ქართლმა დააღწია თავი.

1994 წელს რეგიონის 29 სამრეწველო საწარმოში დამზადდა 4,2 ტრილიონი კუპონის 40 სახის პროდუქცია — 1993 წელთან შედარებით პროდუქციის წარმოების დონემ მხოლოდ 61 პროცენტს მიაღწია. თანაც მთელი ამ პროდუქციის 38 პროცენტი პურპროდუქტების კომბინატის, 40 პროცენტი კი სააქციო საზოგადოება „ლაინის“ წილ მოდის, დანარჩენი 27 საწარმოს წილი კი მხოლოდ 22 პროცენტია.

სამაგიეროდ, 1993 წელთან შედარებით გარკვეული ცვლილებები იყო სოფლის მეურნეობის დარგში: აწარმოეს 10670 ტონა მარცვლეული (16 პროცენტით მეტი) და 2479 ტონა ბოსტნეული (177 პროცენტით მეტი). პირუტყვის სულადობა მოსახლეობაში 1993 წელს არსებული 24267 სულიდან 25858 სულამდე გაიზარდა. მაგრამ სოფლის მეურნეობაში მდგომარეობა კვლავ ერთობ არადამაკმაყოფილებელია, შესაძლებლობები სანახევროდაც კი არ არის გამოყენებული: შარშან მოიწიეს მხოლოდ 5360 ტონა შაქრის ჭარხალი (წინა წელს წარმოებულის 78 პროცენტი), აწარმოეს 120 ტონა ხორცი (51 პროცენტი), 267 ტონა რძე (68 პროცენტი), 1,07 მილიონი კვერცხი (19 პროცენტი) და, რაც ყველაზე საგანგაშოა, მხოლოდ 1500 ტონა თესლოვანი ხილი.

უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაუარესდა სამრეწველო ეკონომიკური პროცესების მთავარი შემოქმედის — ადამიანის შრომითი და ყოფითი პირობები. სწორედ ამის შედეგია, რომ რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებლები უარყოფითი ტენდენციით ხასიათდება. 1995 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ გორში 69062 და გორის რაიონში 85927 მოსახლე იყო, რაც წინა წლის მაჩვენებლებს ჩამორჩება.

თუმცა არც იმის გვერდის ავლა შეიძლება, რომ შარშანდელმა წელმა ნათლად დაგვანახა ის პოტენციური შესაძლებლობები, რომელიც მრავლად არის საწარმოებში, ორგანიზაციებში, შრომით კოლექტივებში, ოღონდ ისინი გამოუყენებელია. ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო სამ წელიწადთან შედარებით, ასე თუ ისე, მაინც არის გარკვეული ძვრები უკეთესობისაკენ, რაც ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის გათვალისწინებით, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ 1995 წლის შედეგები გაცილებით უკეთესი იქნება შარშანდელთან შედარებით.

პირველი პროდუქცია უკვე გამოუშვა კასპის № 2 აგურის ქარხანამ და ქარხანა „ელექტროაპარატმა“, გორის საწარმოო გაერთიანება „დილამ“ და გაერთიანება „ლაინმა“. მაღალ წარმადობამდე ჯერ შორსა ვართ, სამაგიეროდ მოძრაობა დაიწყო, ყინული დაიძრა. ამ დღეებში ამოქმედდება კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი, ხაშურის მინის ტარის ქარხანა, გორის საკონსერვო ქარხანა, სხვა საწარმოები. ყველაფერი ეს ასობით სამუშაო ადგილია, ასობით ოჯახის ცხოვრების დონის ამაღლებაა, ჩვენი სამშობლოს ხვალინდელი დღის რწმენაა. ამ რწმენით ვცხოვრობთ და ვიღწვით — განაცხადა ბატონმა ბადრი ხატიძემ.

გამოითქვა ფრიად საინტერესო მოსაზრებები, დაისვა საკითხები, რომელთა დროული გადაწყვეტაც ერთობ საჭირბოროტოა.

ყველა ადამიანი თავისი ბედის მჭედელია. და თუ ეს ასეა, ჩვენს მთავარ საჭირბოროტო კითხვაზე — რით ვუშველოთ საქართველოს? — ასე უნდა ვუპასუხოთ: შრომით, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებით, სახელმწიფოს ინტერესებისადმი ერთგულებით. ამ თვალსაზრისით პარლამენტართა კავშირ „თანადგომის“ ღვაწლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია. კავშირის საქმიანობის მიზანი ხომ რესპუბლიკის მხარეების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესწავლა და ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად მათი კონკრეტული ხორცშესხმის გზების ძიებაა და ამდენად იგი სწორედ შიდა ქართლის ეკონომიკურ პრობლემებს ეხმიანება. „თანადგომის“ წევრთა გორში სტუმრობა, აქ გამართული საქმიანი შეხვედრები და აზრთა ურთიერთგაზიარება ბევრის მომცემია ჩვენთვის, დიდად წაგვადგება საქმეში — თქვა დასასრულ ბატონმა ბ. ხატიძემ.

ამაში თავად დავრწმუნდით.

ალექსანდრე ალექსიშვილი,
გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ სპეც. კორ.

პარტიებსა და მოძრაობებში

„საქართველოს მომავალი“ იწყებს...

ამას წინათ გაიმართა საზოგადოება „საქართველოს მომავლის“ კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ამ ორგანიზაციის პოლიტიკურ მოძრაობად გადაკეთების შესახებ.

კონფერენციაზე განიხილეს მრავალი საყურადღებო დებულება საქართველოს ხვალინდელი დღის, განსაკუთრებით ცხოვრების საფუძველთა საფუძვლის — ეკონომიკის აღმავლობის შესახებ. პოლიტიკური მოძრაობა „საქართველოს მომავალი“ თავის რიგებში აერთიანებს ცნობილ მეცნიერ-ეკონომისტებს, პოლიტოლოგებს, ისტორიკოსებს, ლიტერატურათმცოდნეებს, ხელოვნების მოღვაწეებს, სპორტსმენებს...

მოძრაობის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ჭითანავა. საბჭოს შემადგენლობაში შედიან გიორგი ციციშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, კონსტანტინე კემულარია, ალექსანდრე ჭაჭია, აკაკი გასვიანი, ნოდარ როგავა, ვლადიმერ ბარქაია, ივა ბერაძე, თედო თოდუა და სხვები.

„საქართველოს მომავლის“ უმთავრესი მიზანი, როგორც მისი სახელწოდებიდანაც კარგად ჩანს, სამშობლოს გადარჩენასა და კეთილ მომავალზე გამუდმებული ფიქრია... ფიქრი და პრაქტიკული მოქმედება...

ღმერთმა ხელი მოუმართოს!

გამოსავალი უნდა მოიძებნოს

პასუხი რედაქციას

გაზეთმა „კახეთმა“ 1995 წლის 17 მარტის ნომერში გამოაქვეყნა „ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრს ფრიდონ ინჯიას“.

კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ საჭიროდ ჩათვალა წერილის პასუხი გამოაქვეყნოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, რადგან გარდა გაზეთ „კახეთის“ მკითხველებისა, სასურველია რესპუბლიკის მოსახლეობა ერთხელ კიდევ იქნეს ინფორმირებული სამინისტროს მუშაობისა და იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც დღეისათვის მას გააჩნია.

პატივცემულო გაზეთ „კახეთის“ რედაქციის თანამშრომლებო! კავშირგაბმულობის სისტემა ხელმძღვანელობს საბაზრო ეკონომიკის კანონებით. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი ჩვენი სისტემის ორგანიზაციათა და უწყებათა მომსახურების საფასურის გაზრდისა. ტელეფონის სააბონენტო ყოველთვიური გადასახადი 300.000 კუპონია. საქალაქთაშორისო საუბრები, კერძოდ, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ლაპარაკი წუთი 2 დოლარი ღირს. ასევე გაიზარდა საფოსტო მომსახურების ტარიფებიც. და მაინც მხოლოდ ნაწილობრივ იფარება ის ხარჯები, რაც, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მომსახურებისათვის სჭირდება კავშირგაბმულობის ობიექტებს.

მოგეხსენებათ, თუ როგორი გაჭირვებით გამოდის პერიოდული პრესა, ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთი საერთოდ ვერ იბეჭდება. ამის საუკეთესო მაგალითია თქვენი გაზეთის „კახეთის“ პერიოდულობაც. აქედან დასკვნა: ირღვევა მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლები, გამკითხავი კი არავინ არის.

ამ მიმართებით ჩვენს მიერ განხორციელებული ღონისძიებები საკმარისი არ არის.

ღია წერილის ავტორს ძირითადად სააბონენტო გადასახადი აინტერესებს. პრეტენზია ასეთია: არ მუშაობს ტელეფონი და რატომ უნდა გადავიხადოთ სააბონენტო გადასახადი? გაცნობებთ, რომ იქ, სადაც ენერგოკრიზისის გამო გათიშული იყო სადგურები, სამინისტროს ხელმძღვანელობამ მისცა მითითება არც ერთ აბონენტს არ დაარიცხონ გადასახადი. თუ სადმე მაინც აიძულებენ გადახდას, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია კავშირგაბმულობის სამინისტროს შესაბამის სამსახურს მიმართოს.

რაც შეეხება კავშირგაბმულობის სამინისტროს თანამშრომელთა ხელფასებით უზრუნველყოფას, ყველა უწყება ვალდებულია თავისი სისტემის მუშაკთა ინტერესები დაიცვას, დაეხმაროს ეკონომიკურად. ასე ხდება ჩვენთანაც, მაგრამ თქვენ ეგეც დანაშაულად ჩაგვითვალეთ. რაც შეეხება ბატონ ფრიდონ ინჯიას მოუცლელობას თუ ევროპაზე თვალის ჭერას, არც ეს უნდა იყოს ასე საგულდაგულოდ ხაზგასასმელი, რადგანაც ასეთი ვითარება მარტო ჩვენს სამინისტროში არ არის. სისტემის საშინაო და საგარეო ურთიერთობების მოგვარება სხვას ვის უნდა ევალებოდეს, თუ არა მის ხელმძღვანელს? ისე არ გაგვიგოთ, კრიტიკას გავურბოდეთ, მაგრამ არსებობს ჟურნალისტური ეთიკა, სანამ წერილი დაიბეჭდება, ჟურნალისტი უნდა შეხვდეს ადრესატს და კარგად გაეცნოს საქმის ვითარებას. მაშინ წერილიც უფრო საფუძლიანი გამოვა და კრიტიკაც — ჯანსაღი, შორსა ვარ ვინმეს ჭკუის სწავლებისაგან. ეს ისე, როგორც კოლეგამ საჭიროდ ჩათვალა შემეხსენებინა.

ჩვენი სისტემის მუშაკები ისეთივე მწირი ხელფასებით ვცხოვრობთ, როგორც ყველა სხვა. თუმცა, ზოგი რამ აქაც კეთდება. კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ მომსახურების ქირის ზრდას წარუმძღვარა საკმაოდ მნიშვნელოვანი შეღავათები სოციალურად დაუცველი ფენისათვის, რომლის უზრუნველყოფა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე უნდა ხდებოდეს, მაგრამ საერთო ეკონომიკური სიდუხჭირე ამის საშუალებას არ იძლევა. უახლოეს მომავალში კვლავ შეიცვლება ტარიფები და მომსახურების საფასური გაიზრდება, მაგრამ მნიშვნელოვანი შეღავათები ამ ფენისათვის კვლავ იქნება გათვალისწინებული. ფასების გაზრდა მოხდება საერთაშორისო ნორმებიდან გამომდინარე, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ასეთი მიდგომა აუცილებელია დარგის ხვალინდელი დღის პერსპექტივის რეალიზაციისათვის და მომსახურების დონის ასამაღლებლად. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ეს დარგი ნებაყოფლობითი მომსახურების სფეროს განეკუთვნება, ვისაც ტელეფონით სარგებლობის სურვილი აქვს, საფასურის გადახდაც არ უნდა ავიწყდებოდეს.

იმას, რაც დღეისათვის კავშირგაბმულობის სისტემაში კიდევ კეთდება, ჩვენს სპეციალისტებს უნდა ვუმადლოდეთ — ისინი სიმწრით ამუშავებენ ისედაც მოძველებულ და ენერგოკრიზისის შედეგად მწყობრიდან გამოსულ სადგურებს. ამას თუ დაუმატებთ საკაბელო მეურნეობის დარბევა-დატაცების ფაქტებს, რომლის აღდგენითი სამუშაოები დიდძალ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ყველა გასაჭირი, რომელსაც ადგილი აქვს სისტემაში.

ისიც აღსანიშნავია, რომ სხვაზე უკეთესად მაინც ტელეფონი მუშაობს, ამას საზოგადოების მხრიდანაც გაფრთხილება სჭირდება, თორემ შორიდან ადვილი სათქმელია: რატომ არ ჩართეს დიზელგენერატორებიო? განა ვინმე შეძლებს ელექტროენერგიის სისტემატური გამორთვის დროს მოამარაგოს ამდენი სადგური ერთიანად საწვავ-საცხები მასალით და 24 საათი ამუშაოს? ასეთი სახსრების მოძებნა შეუძლებელია.

ეტყობა, წერილის ავტორი კარგად არ იცნობს ქვეყნის რეალობას.

ხოლო რაც შეეხება კავშირგაბმულობაში დამტარებლად მოწყობას, ამის თაობაზე სამინისტროს პრესცენტრმა არაერთი განცხადება გააკეთა პრესაში. ვიმეორებთ, რომ მსურველებს შეგიძლიათ მიმართოთ ცენტრალურ ფოსტამტს აღმაშენებლის პროსპექტზე.

ცეცხლზე ნავთის დასხმა ხანძარს არ ჩააქრობს, პირიქით. გამოსავალი უნდა მოიძებნოს ურთიერთშეთანხმებითა და საქმის უკეთ კეთების სურვილით.

მზია ნარმანია,
საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი.

მეცნიერები ბჭობენ

რა შეიძლება მოგვცეს მზის ენერგიამ?

ამ დღეებში თბილისში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „გარემოს დაცვითი პრობლემები და მზის ენერგიის გამოყენება“. ფონდ „მწვანე დედამიწის“ (პრეზიდენტი ნუგზარ მელაძე) მიერ ორგანიზებულ ამ პირველ რესპუბლიკურ კონფერენციაში მონაწილეობდნენ ჩვენი სამეცნიერო კვლევითი და საწარმოო ორგანიზაციების მეცნიერები და სპეციალისტები, რომლებიც, კარგა ხანია, აქტიურად ამუშავებენ არატრადიციული ენერგორესურსების (მზის, ქარის ენერგიების) გამოყენების თემატიკას.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები შეიცავდა კონკრეტულ პრაქტიკულ წინადადებებს, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა საქართველოს ეკოსისტემას, დაიცავდა ბუნებას. საქართველო მდიდარია ენერგიის არატრადიციული წყაროების რესურსებით. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ მათი ფართო გამოყენება ქვეყანას ყოველწლიურად დაუზოგავს 4,5-5 მილიონ ტონა პირობით სათბობს და დაახლოებით ორნახევარჯერ შეამცირებს გარემოს გაჭუჭყიანებას.

კონფერენციამ შეიმუშავა რეკომენდაციები, შეადგინა გადაუდებელ სამუშაოთა ნუსხა. აი, ზოგიერთი მათგანი: საქართველოს ეკოლოგიური სიტუაციის ამსახველი რუკის შედგენა; სამრეწველო საწარმოების გამწმენდი დანადგარებითა და მოწყობილობებით აღჭურვის სამუშაოების დროულად დაპროექტება და მშენებლობა; ტოქსიკური ნარჩენების სახეობის მიხედვით კატალოგებისა და პასპორტების შედგენა; ზღვრულად დასაშვები ნორმების ზევით გამოფრქვეულ მავნე ნივთიერებებზე ეკონომიკური სანქციების შემოღება; ეკოლოგიური ზარალის შემსწავლელ ექსპერტთა კომისიის შექმნა; მოსახლეობაში ეკოლოგიური განათლების შეტანა და ეკოლოგიის სპეციალისტთა მომზადება და სხვა.

„სრ“ კორ.

ალბათ, მართლაც, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ვუბრუნდებით ნორმალურ ცხოვრებას. ასეთი შეგრძნება დაეუფლა ყველას, ვინც ამ დღეებში მწერალთა კავშირში ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის „ქალთა დაცვის კავშირის“ მესვეურთა შეხვედრას დაესწრო ქართველ მწერალ ქალებთან. ეს იყო მშვენიერ მანდილოსანთა შეკრება, რომლებიც თავის სამშობლოს ბედ-იღბალზე, მის მომავალზე ღრმად ჩაფიქრებულან და ეძებენ ქვეყნის გადარჩენის გზებს, საკუთარ ადგილს ამ პატრიოტულ საქმეში.

ქალის ენერგიამ და სინაზემ უნდა გადაარჩინოს საქართველო

შეხვედრა ქართველ მწერალ ქალებთან

— სიმბოლურია, რომ კავშირმა, რომელმაც ქალი უნდა დაიცვას, პირველი შეხვედრა ქართველ მწერალ ქალებთან გამართა — თქვა ამ პოლიტიკური ორგანიზაციის თავმჯდომარემ, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის ტერიტორიული მართვის სამმართველოს უფროსმა ქალბატონმა ნარგიზ გველიამ. ქართველ მწერალ ქალებზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი საზოგადოების ბედ-იღბალი, არადა, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოებრიობა იქამდეც კი მივიდა, რომ ქალს მხოლოდ სამზარეულოს კუთვნილებად აღიქვამს.

დღეს მსოფლიოში აღზევებულია ფემინიზაციის პროცესი. ამ საყოველთაო სიდუხჭირეში ქალებს უხდებათ უმძიმესი ტვირთის ზიდვა. დღეს მათ დაცვა სჭირდებათ. სწორედ ამიტომ შეიქმნა ჩვენი კავშირი. ჩვენი იდეალია— მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური გზებით, ყოველგვარი კონფრონტაციის გარეშე მოგვარდეს ყველა ის მტკივნეული საკითხი, რომელიც დღეს ქალს ასე უძნელებს ცხოვრებას. ქალი — სიცოცხლის სათავეა, მისი ბუნებისათვის მიუღებელია ყოველგვარი ძალადობა, დესტაბილიზაცია. და ჩვენს მიზანს სწორედ იმაში ვხედავთ, რომ ყველაფერი ვიღონოთ, რათა ავამაღლოთ ქალის როლი საზოგადოებაში, გავათავისუფლოთ იგი ზედმეტი საშინაო შრომისაგან და მივცეთ საშუალება მეტი დრო დაუთმოს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ფართოდ მივიზიდოთ იგი ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაში. ღრმად გვჯერა, რომ ქალის ენერგია და სინაზე გადაარჩენს საქართველოს...

კავშირის თავმჯდომარემ ნარგიზ გველიამ დამსწრეთ წარუდგინა ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის პროგრამა და აღნიშნა, რომ ქალთა დაცვის მექანიზმის შესაქმნელად მუშავდება ხუთწლიანი პროგრამა, რომელშიც აქცენტირებულია პრიორიტეტული მიმართულებები და რომლებმაც ახალ საფეხურზე უნდა აიყვანონ ქალის როლი საზოგადოებაში.

ის, რომ ჩვენში ქალს მართლაც სჭირდება დაცვა, პირველივე გამომსვლელის მწერალ ნანა კანდელაკის სიტყვებში გაისმა. ლიტერატორ ქალებს განსაკუთრებით გვიჭირს ჩვენი ნაწარმოებების გამოქვეყნება, თქვა მან. მამაკაცები როგორღაც ახერხებენ მიიტანონ თავისი სათქმელი მკითხველამდე. შემდეგ გამოსულ ორატორთა უმრავლესობა ხაზს უსვამდა სწორედ ამ პრობლემას, მოითხოვდა მხარდაჭერასა და დახმარებას.

თავისი სათქმელი ლექსებით გამოხატეს პოეტებმა მზია ხეთაგურმა, ლია ქავჟავაძემ, შარლოტა კვანტალიანმა, ჯენეტ ვეკუამ, ცირა ქიტიაშვილმა, მწერლებმა დოდო ჭუმბურიძემ, ქეთევან ჭილაშვილმა, ლეილა მესხმა, კამილა კორინთელმა, ნანა ლეინეფაძემ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის დოცენტმა აველინა დავითულიანმა. თავიანთი აზრი გაუზიარეს დამსწრეთ და კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ასეთი თბილი და საქმიანი შეხვედრა მათ კარგა ხანია არ ჰქონიათ.

მწერალ ქალებს მიესალმნენ საქართველოს რესპუბლიკის მრავალშვილიან დედათა და ბავშვთა დაცვის დამოუკიდებელი ასოციაციის პრეზიდენტი მარიამ ძაძამიძე, მწერალთა კავშირის მდივანი დავით მჭედლური, „ქალთა დაცვის კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე, ცნობილი მომღერალი ელდარ გეწაძე.

ეს შეხვედრა მართლაც არაორდინარული იყო. დაინტერესებულ საუბარს მუსიკა ცვლიდა.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური ეროვნული თეატრის სოლისტებმა მზია დავითაშვილმა, რუსუდან მექვაბიშვილმა, ელდარ გეწაძემ, თემურ გუგუშვილმა მათთვის ჩვეული მაღალი პროფესიონალიზმით შეასრულეს არიები ქართული, რუსული, კლასიკური ოპერებიდან, იტალიური სიმღერები. ამ სახელგანთქმულ ვოკალისტებს რომ კარგი ცვლა ეზრდებათ, ცხადყვეს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტებმა ირინე რატიანმა და ხათუნა მიქაბერიძემ, რომლებმაც შესანიშნავად შეასრულეს არია როსინის ოპერიდან „სემირამიდა“.

როიალის პარტიას ასრულებდა და შესანიშნავად გაუძღვა მუსიკალურ ნაწილს კონცერტმაისტერი დარეჯან მახაშვილი.

ამ დაუვიწყარმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა მისი მონაწილენი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ურთიერთობას, აზრთა გაცვლას, გამოსავალი გზების ერთად ძიებას.

ლამარა ბაგუა.
საქინფორმი.

საქართველოს საჰაერო სივრცე გაკონტროლდება

საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორიაში პირველად დაიწყეს საბრძოლო მორიგეობა ჰაერსაწინაღო თავდაცვის ჯარებმა. ჯერჯერობით საქმე ეხება ორი რადიოსალოკაციო სადგურისა და ცენტრალური საკომანდო პუნქტის ამოქმედებას, რაც თბილისის გარშემო 400 კილომეტრის რადიუსით საჰაერო სივრცის გაკონტროლების საშუალებას იძლევა. შემდეგი ეტაპი მთელი საქართველოს ცის კონტროლზე აყვანა იქნება. არსებობს მოლაპარაკება რუსეთის მხარესთან, რომლის მიხედვით, საქართველოს მხარე უფასოდ მიიღებს სამხედრო ტექნიკასა და შეიარაღებას, მოამზადებს კადრებს, მათ შორის ჰაერსაწინაღო ავიაციის გამანადგურებლების პილოტებს, ეს კი საქართველოსა და რუსეთის ორმხრივ ინტერესებს შეესაბამება.

ხელშეკრულების განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს ჰაერსაწინაღო თავდაცვის სისტემის შექმნა შესაძლოა რამდენიმე თვეში დამთავრდეს. როგორც ცნობილი გახდა, ცენტრალურ საკომანდო პუნქტზე უკვე მოეწყო პირველი საბრძოლო გათვლის სწავლება.

აი, ასეთი ჯაბა იოსელიანი!

თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი სცენური ხელოვნების მოყვარულებს ამ დღეებში იწვევს ორ სპექტაკლზე — ა. მილერის „ხედი ხიდიდან“ და ჯ. იოსელიანის „შავი კატა“.

ორივე სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს რეჟისორ ა. ქანთარიას.

მაყურებელთა აუდიტორიას გამოცდა ჩააბარა სპექტაკლმა „შავი კატა“, რომლის გმირებმა სცენური სიცოცხლე შეიძინეს პირველად ამ სცენაზე. პიესა ნოველის ჟღერადობისაა და კოლექტივი ამით აგრძელებს ქართული დრამატურგიის დადგმათა ტენდენციას. მაინც რაზეა იგი? თუ მოკლედ ვიტყვით, სიყვარულზე, გაცრუებულ ოცნებებზე, მკაცრ რეალობაზე, რომელსაც ვერსად ვერ წაუხვალ...

თეატრის უახლოეს გეგმებშია ჯ. იოსელიანის კიდევ ერთი ნაწარმოების დადგმა — მისი „ლიმონათის ქვეყნის“ ინსცენირება.

საქინფორმი.

ნეკროლოგი

ვალერიან კუჭავა

სენაკის საზოგადოებას გამოაკლდა გამოჩენილი თანაქალაქელი, ღვაწლმოსილი სამეურნეო მუშაკი და შესანიშნავი პიროვნება ვალერიან (ვალიკო) პლატონის ძე კუჭავა.

წავიდა ჩვენგან ნაამაგარი კაცი, გულმართალი მეგობარი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გულმოდგინედ იღვწოდა საერთო საქმის სასარგებლოდ, სენაკისა და სენაკელთა საკეთილდღეოდ.

ვ. კუჭავა 1920 წელს დაიბადა სენაკში. მშობლიურ ქალაქში საშუალო განათლების მიღების შემდეგ იგი ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტს და ნიშნავენ რესპუბლიკის ახალგაზრდობის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოში პასუხსაგებ თანამდებობაზე.

1948 წელს სენაკის ახალგაზრდობის თავკაცად აწინაურებენ, წლების განმავლობაში იყო სენაკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი. ფხიზელი გონება, დაკვირვების უნარი, გულმოდგინეობა, წინდახედულება მისი დამახასიათებელი ნიშნები იყო და ყოველთვის უწყობდა ხელს ყოფილიყო თაოსანი და შეესრულებინა ბევრი კეთილი საქმე.

განსაკუთრებით დასაფასებელია მისი ამაგი ახალგაზრდა, უნარიანი, ნიჭიერი კადრების შემოკრების, აღზრდისა და დაწინაურების საქმეში.

სიცოცხლის ბოლო წლებში ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოზე იყო.

ღირსეულად დაფასდა ვ. კუჭავას ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით — ორდენებით, მედლებით, საპატიო სიგელებით, შედიოდა არაერთ დამფუძნებელ, არჩევით ორგანოს შემადგენლობაში. ყველაზე დიდ ჯილდოდ უნდა მივიჩნიოთ კეთილი საზოგადოებრივი აზრი, რაც მან წუთისოფლის სავალ გზაზე დაიმსახურა.

ვ. კუჭავა იყო ყურადღებიანი შვილი, კეთილი მეუღლე, მზრუნველი მამა და ბაბუა.

მშვიდობით, ძმაო და მეგობარო ვალიკო, ნათელი დაადგეს შენს მარადიულ სასუფეველს. მსუბუქი იყოს შენს მკერდზე მშობლიური სენაკის მიწა.

მეგობრები.

მეუღლე იამზე, შვილები ნათელა, ნუგზარი, შვილიშვილები ბუბა, ვატო კუჭავები, ირაკლი, ნუკრი მაღლაკელიძეები, შვილთაშვილები მარიამი და თამარი, რძალი დალი ბედია, სიძე თემურ მაღლაკელიძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალიკო პლატონის ძე კუჭავა

დაკრძალვა 6/VI ქ. სენაკში, კიროვის ქ. № 36.

დღეს და ხვალ უელსში

გუშინ კარდიფს გაემგზავრნენ საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული და ოლიმპიური ნაკრებები, სადაც ისინი შესარჩევ მატჩებს გამართავენ, შესაბამისად, უელსის პირველ და ოლიმპიურ ნაკრებებთან.

კვირას დიღმის ბაზაზე, სადაც ჩვენი ფეხბურთელები გადიოდნენ შეკრებას, ჟურნალისტებისათვის მოაწყვეს პრესკონფერენცია. ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ განაცხადა, რომ შემადგენლობის დაკომპლექტებისას იყო პრობლემები — ტრავმები აქვთ ჯამარაულს, ნემსაძეს, კუდინოვს, ყიზილაშვილს, ლუდუშაურს. უელსს ვერ გაემგზავრა, აგრეთვე, რევიშვილი, რომელიც სულ ახლახან ბოტკინით იყო ავად.

რაც შეეხება უელსელებს, როგორც ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობაა ინფორმირებული, ისინი თავიანთი უძლიერესი შემადგენლობით გამოვლენ ამ მატჩში.

გაგაცნობთ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ეროვნული ნაკრების ღირსებას დაიცავენ უელსში: დევაძე, ზოიძე, ბერაძე, ცხადაძე, შელია, ჩიხრაძე, ინალიშვილი, ცქიტიშვილი, ტუღუში, გ. კილასონია, გოგიჩაიშვილი, ქეცბაია, ქინქლაძე, ყაველაშვილი, შ. არველაძე.

ოლიმპიელები ერთმანეთს დღეს შეხვდებიან, ხოლო ხვალ, უელსისა და საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდები იასპარეზებენ. მატჩი დაიწყება 23 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით.

იაგო სავანელი.

1995 წლის 10 ივნისს, შაბათს, 11 საათზე საქართველოს პარლამენტის აპარატი ქ. ზესტაფონში, გამგეობის სხდომათა დარბაზში ატარებს საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობათა წამყვანი სპეციალისტების რესპუბლიკურ თემატურ სემინარს — „დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პრობლემები და საპარლამენტო წარმომადგენლობათა ამოცანები“.

რეგისტრაცია იქვე, 10 საათიდან.

ამა წლის 24 ივნისს შედგება სს „კავკასიის ბირჟის“ აქციონერთა კრება

რეგისტრაცია 10 საათზე.
მისამართი: ქ. ბაგრატიონის, 6, ტ.: 38-47-85.

დეპეშა

საქართველოს რესპუბლიკა, თბილისი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას, ინტერპოლს, საქართველოს პოლიციის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ ჩემს მიერ კუნძულ სიცილიაზე განხორციელებული ერთ-ერთი ოპერაციის დროს ქართველი პარლამენტარის ჯიბეში (მესამე სართულზე) დავაკავე მაფიოზურ „რვაფეხაში“ გაბმული ქართველი ბიზნესმენი ვანო ოქრონონაშვილი, იგივე ფილავიო დოლიარიდო (იტალიური პასპორტის მიხედვით). საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით, მის მიმართ აღძრულია საქმე № 1157869. ამ დღეებში უზრუნველვყოფ დაკავებულის სამშობლოში დაბრუნებას.

კომისარი კატანი.
ქ. რომი, 5 ივნისი, 1995 წ.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი

აცხადებს, რომ კავშირის ანგარიშგება-არჩევნები ტარდება
1995 წლის 23-24 ივნისს,
„თბილქალაქპროექტის“ სააქტო დარბაზში.
მონაწილეთა რეგისტრაცია —
დილის 9-დან 10 საათამდე.
კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატურების წარდგენა —
29 მაისიდან 16 ივნისის 6 საათამდე;

კანდიდატურების წარდგენის წესს და სხვა დამატებით ინფორმაციას დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ საქართველოს არქიტექტორთა კავშირში (დავით აღმაშენებლის პროსპექტი 89/24, III სართული).

ყველასათვის სასურველი სტუმარი— „ლაპარაკობს თბილისი!..“

ქართული რადიო 70 წლისა

„ლაპარაკობს თბილისი!“ — საქართველოს ყველა კუთხეში 70 წელია ისმის ეს სიტყვები. რადიოს უსმენენ, ელიან, უყვართ. როგორი გზა გამოიარა ქართულმა რადიომ, რითი მოვიდა დღემდე, რას ჰპირდება სამომავლოდ — გვესაუბრება სახტელერადიოკორპორაციის რადიომაუწყებლობის გენერალური დირექტორი ვახტანგ ნანიტაშვილი:

— განვლილ გზაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა. ეს დიდი ისტორიაა. რადიო ხომ ჩვენი ქვეყნის მემატიანეა. მისი მუშაობა ქვეყნის მაჯისცემაა, მისი ყოველდღიურობის ანარეკლია. მან ქართული კულტურის, ცნობიერების, ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა. ორ-სამ გაზეთთან ერთად, რომელიც მაშინ გამოდიოდა, რადიო ერთადერთი იყო, რომელიც ყველა მნიშვნელოვან საქვეყნო საქმეს უმალ ეხმიანებოდა, ესაუბრებოდა მრავალმილიონიან აუდიტორიას.

ასე შემოინახა ყოველივე უნიკალურ ფონდში, რომელიც დღეს ოქროს ფონდად არის წოდებული. ამ პერიოდის საქართველოს ყველა გამოჩენილი ადამიანი გვყავს ჩაწერილი. მართლაც ოქროს ფონდი გვაქვს, რომელი ერთი ჩამოვთვალო: მოსკოვში ქართული კულტურის დეკადაზე ევგენი მიქელაძის დირიჟორობით წარმოდგენილი „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“, აკაკი წერეთლის, პაოლო იაშვილის, გალაკტიონის, სხვათა და სხვათა უნიკალური ჩანაწერები... დღეს კი არის ეს ყველაფერი, მაგრამ მომავალ თაობებს რომ შევუნარჩუნოთ, სახელმწიფოსგან დიდი დახმარება გვჭირდება.

ქართულმა რადიომ თვითონ შექმნა თავისი კადრები, ტელევიზია კი ძირითადად რადიოსგან დაიბადა. დღეს საქართველოს რადიომაუწყებლობის 9 რედაქცია 8 ენაზე ამზადებს გადაცემებს — ქართულად, რუსულად, აზერბაიჯანულად, სომხურად, ინგლისურად, გერმანულად, ბერძნულად, ქურთულად. მალე დაიწყება გადაცემები სპარსულ და თურქულ ენებზე. ის, რომ დღეს ჩვენი რადიოთი „ამერიკის ხმა“ გადაიცემა ქართულად, დემოკრატიის სრულ გამოვლინებად მიმაჩნია. მომავალში გადაწყვეტილი გვაქვს, მსოფლიოს ყველა ქართულ ენაზე მოლაპარაკე გადაცემას (ისრაელის რადიოგადაცემა, ბი-ბი-სი, „თავისუფლება“...) „თავი მოვუყაროთ“ ჩვენს რადიოში.

მიგვაჩნია, რომ თუკი საქართველოს რადიოა, მარტო „ლაპარაკობს თბილისი“ არ უნდა იყოს. მალე ამ პრობლემასაც ეშველება და საქართველოს რადიოთი მოვისმენთ გადაცემებს ქუთაისიდან, ბორჯომიდან, თელავიდან, ახალციხიდან... მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩვენი ძალებით ვერ შევძლებთ. ისევ სახელმწიფოსგან ველით დახმარებას.

არის კიდევ ერთი მწვავე პრობლემა, რასაც „საკაბელო პრობლემას“ დავარქმევდი. კავშირგაბმულობის სამინისტრო გვემუქრება, საკაბელო რადიომაუწყებლობა უნდა შეწყდესო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მილიონობით რადიომსმენელს წაართმევ რადიოს მოსმენის საშუალება. წარმოიდგინეთ, დღევანდელ პირობებში, როცა უსახსრობის გამო მოსახლეობა ვერ იწერს გაზეთებს, ტელევიზორი ბევრისთვის უკვე ფუფუნების საგანი გახდა... ასეთ დროს რადიოც ვერ მოისმინო, დამეთანხმებით, ძალიან ძნელია. 30 წლის წინათ საქართველოს ყველაზე მიუვალ სოფლებში უსმენდნენ რადიოს, დღეს კი ამაზე ლაპარაკი, უბრალოდ, სირცხვილია. თითქოს ააგეს გრძელტალღოვანი გადამცემები, მაგრამ რადიომსმენელისთვის მთავარი ხომ ხარისხია. თუ კარგად არ ისმის, არავინაც არ მოუსმენს.

ივნისიდან ვფიქრობთ მეორე არხის სხვაგვარად ამოქმედებას. უნდა შევქმნათ ქართულ-ამერიკული რადიო, სადაც არ „იბატონებს“ მხოლოდ ინგლისურენოვანი მუსიკა. ეს იქნება ახალგაზრდული არხი, სადაც ერთმანეთს შეერწყმება ოპერატიული ინფორმაცია და კარგი მუსიკა.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს რადიომაუწყებლობას ჰყავს პროფესიონალებისგან შემდგარი ტრადიციული კოლექტივი. ვულოცავ მათ ამ იუბილეს. განსაკუთრებით მინდა მივულოცო ეს დღე რადიოს ამაგდარ ადამიანებს — ჩვენს ვეტერანებს ანტონ კელენჯერიძეს, პეტრე შამათავას, ქეთევან ლანდიას...

30-40 წელიწადია ჩვენთან მუშაობენ ელიკო ტაბლიაშვილი, მერი მიქელაძე, თინა ელბაქიძე... ყველას ვერ ჩამოვთვლი, არ მინდა ვინმე გამომრჩეს. ისინი დღესაც ჩვეული ენთუზიაზმით უძღვებიან საყვარელ საქმეს.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ბევრი ჩვენი რადიოგადაცემა შეიყვარა მსმენელმა. ესენია ლამარა კიკილაშვილის პროგრამა „სახსოვარი“, მედეა გეგეშიძის „თანაგრძნობა“, ლია ძიძიგურის „კინო სხვადასხვა რაკურსით“, გადაცემები „დროება“, ქართული ენის პრობლემებზე „ენაი შემკული და კურთხეული“ და სხვ.

ამ საყოველთაო ნგრევის პირობებში ერთი მიზანი გვქონდა: ის რაც არსებობდა, არ დაგვენგრია, შეგვენარჩუნებინა. მე მგონი, ეს შევძელით კიდეც. ხვალინდელი დღე მეტს გვავალებს. თუ მხარში ამოგვიდგებიან და დაგვეხმარებიან, ვფიქრობ, გულნატკენს არ დავტოვებთ რადიოგადაცემების მოყვარულებს.

ჩაიწერა
მზია გელენავამ.

სხვა გაზეთებიდან

რა ეღირება ავტომობილი...

კონიუნქტურული გამოკითხვა მოაწყო ეკონომიკის უმაღლესმა სკოლამ

კითხვებს უპასუხებდნენ სამამულო მანქანებით მოვაჭრე ფირმების მენეჯერები. შევისწავლეთ სხვადასხვა მარკის სამამულო ავტომანქანების მიმდინარე ფასები, თებერვლიდან მაისამდე პერიოდში ფასების ცვალებადობის დინამიკა, მოთხოვნა რუსულ ავტომობილებზე და მათი კონკურენტუნარიანობა იმპორტულ მანქანებთან, აგრეთვე საკვლევი ბაზრის გაჯერება.

სამამულო ავტომობილების კონკურენტუნარიანობა და მათზე არსებული მოთხოვნილება. როგორც გამოკითხვამ გვიჩვენა, სადღეისოდ ყველაზე მეტი მოთხოვნაა „ვაზ“-ის სხვადასხვა მოდელებზე. ყველაზე ხშირად მოიხსენიება მოდელები 2106, 2107, 2109 (გამოკითხულთა 65 პროცენტი). ამას, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მყიდველთა ტრადიციული ნდობა ამ მოდელებისადმი, რაც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო მანქანის საკმაოდ მაღალი ხარისხითა და შედარებით დაბალი ფასით. „ვაზ“-ს მოსდევენ „გაზ“-ი (19 პროცენტი), და „ტავრია“ (6 პროცენტი). ისეთ მარკებზე, როგორიცაა „ოკა“ და „მოსკვიჩი“, ფირმების მენეჯერთა აზრით, პრაქტიკულად არ არის მოთხოვნა, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეულია ამ მარკების უფრო დაბალი ხარისხით „ვაზ“-თან და „გაზ“-თან შედარებით.

რესპონდენტთა 56 პროცენტს მიაჩნია, რომ მოთხოვნა სამამულო ავტომობილებზე უახლოესი სამი თვის მანძილზე განაგრძობს ზრდას. ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნევა „გაზ“ მარკის ავტომობილების მიმართ და ოდნავ ნაკლები „ვაზ“-ის მიმართ. ყველა რესპონდენტი ამტკიცებს, რომ „ტავრიაზე“ მოთხოვნა უცვლელი დარჩება.

რაც შეეხება იმ კითხვას, რომელიც უკავშირდებოდა სამამულო ავტომობილების ამჟამინდელ კონკურენციას იმპორტულთან, აქ სპეციალისტთა აზრი გაიყო. მაგალითად, გამოკითხულთა 44 პროცენტს მიაჩნია, რომ კონკურენცია დაბალია ან პრაქტიკულად არ არსებობს. თავიანთ პასუხს ისინი იმით ასაბუთებენ, რომ სამამულო და იმპორტულ ავტომობილებს შორის ერთობ დიდია განსხვავება კლასში და შესაბამისად — ფასებში. 25 პროცენტი ამტკიცებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი კონკურენცია ნახმარ იმპორტულ ავტომობილებთან, ხოლო კონკურენცია ახალ მანქანებთან პრაქტიკულად არ არის, რაც მთლიანად სამამულო ავტომობილებს ზომიერად კონკურენტუნარიანს ხდის უცხოურ მარკებთან შედარებით. 13 პროცენტს მიაჩნია, რომ კონკურენცია დიდია, და ეს დაკავშირებულია სამამულო ავტომობილების მაღალ საიმედოობასთან.

ფასები და ფასთა პროგნოზი. გამოკითხვის დროს ჩვენ ვიკვლევდით ხუთი მარკის სამამულო ავტომობილს — „მოსკვიჩს“, „ვაზ“-ს, „გაზ“-ს, „ტავრიას“ და ცალკე ჯგუფში გამოყოფილ „ოკას“. მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტური უმრავლესობა ფასებს აწესებს აშშ დოლარებში, რესპონდენტთა 44 პროცენტმა გვაცნობა, რომ მათ ფირმებში უკანასკნელი თვის მანძილზე გაიზარდა სამამულო ავტომობილების გასაყიდი ფასები. ამდენივე პროცენტმა აღნიშნა, რომ გასაყიდი ფასები არ გაზრდილა.

ზემოაღნიშნული მარკების მინიმალური, საშუალო და მაქსიმალური გასაყიდი ფასები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ავტომობილების მიმდინარე ფასები
(აშშ დოლარებით)

	მინიმალური	მაქსიმალური	საშუალო
„მოსკვიჩი“	4255	5056	4697
„გაზ“-ი	6170	17021	8678
„ვაზ“-ი	5800	11200	7498
„ოკა“	2800	3200	3000
„ტავრია“	2900	3850	3459

ფასების სიჭრელის გარდა, სხვადასხვა მოდელებზე არსებობს ფასთა სხვაობა სხვადასხვა მოდიფიკაციებზე ერთი მოდელის შიგნით, რომელიც შეიძლება აღწევდეს 1500-2000 დოლარს.

მეტ წილ რესპონდენტთა აზრით, სამამულო ავტომობილების გასაყიდი ფასების ზრდა გაგრძელდება (ეს ეხება როგორც რუბლიან, ისე დოლარიან ფასებს). მაგრამ არაპოპულარულ მარკებზე („მოსკვიჩი“, „ოკა“) დოლარიანი ფასები ზაფხულამდე პრაქტიკულად არ შეიცვლება; რაც შეეხება ავტომანქანებს, რომლებზეც მომხმარებლების მოთხოვნაა, დოლარიანი ფასები ამ მანქანებზე მაისის ბოლოს გაიზარდა საშუალოდ 5 პროცენტით. ამავე დროს ზოგიერთი ფირმის (ძირითადად მწარმოებელი ქარხნების დილერი ფირმების) წარმომადგენლებმა გვიპასუხეს, რომ გასაყიდი ფასები დაწესდება მწარმოებელი ქარხნების პოლიტიკის შესაბამისად.

ბაზრის გაჯერება. ახლა, რაც შეეხება სამამულო მარკების ავტომობილების ბაზრის გაჯერებას ცალკეული მარკების მანქანებით.

ცხრილში მოყვანილია ბაზრის გაჯერების კოეფიციენტები განსახილველი მარკების მანქანებისათვის (ბაზრის გაჯერების კოეფიციენტი გაანგარიშებულია როგორც იმ ფირმების რაოდენობის შეფარდება გამოკითხულთა საერთო რიცხვთან, რომლებშიც იყო გარკვეული მარკის მანქანები).

	იანვარი	თებერვალი	მარტი
„მოსკვიჩი“	0,25	0,25	0,31
„ოკა“	0,125	0,125	0,06
„ვაზ“-ი	0,69	0,69	0,75
„გაზ“-ი	0,69	0,63	0,69
„ტავრია“	0,31	0,25	0,25

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე დიდია ბაზრის გაჯერება „ვაზ“ და „გაზ“ მარკის ავტომობილებით, რაც აიხსნება დიდი მოთხოვნით ამ მარკებზე, რომელიც, თავის მხრივ, გამოწვეულია საკმაოდ მაღალი ხარისხით, ავტომანქანის ყიდვისა და შეკეთების უფრო ხელმისაწვდომი ფასებით უცხოურ მარკებთან შედარებით

საინტერესო გამოდგა, ჩვენი აზრით, შემდეგი ფაქტი: ნახევარი გამოკითხული ფირმების სავაჭრო ბრუნვაში ჩვეულებრივ წარმოდგენილია ავტომობილების ერთ-ერთი საკვლევი მარკა (მეტწილად ეს არის გარკვეული მწარმოებელი ქარხნის დილერი ფირმა); ხოლო ფირმების 12,5 პროცენტის ბრუნვაში ჩვეულებრივ წარმოდგენილია ორი მარკა, ასევე ფირმების 12,5 პროცენტს თავის სავაჭრო ბრუნვაში აქვს სამი, ოთხი და ხუთი მარკა. ამასთან, რესპონდენტთა 50 პროცენტი ამტკიცებს, რომ მათი ფირმების სავაჭრო ასორტიმენტი უახლოეს ხანს გაიზრდება, ხოლო 38 პროცენტი — რომ უცვლელი დარჩება;

სერვისული მომსახურება. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ გვაინტერესებდა, უწევენ თუ არა მომხმარებელს ფირმები სერვისულ მომსახურებას, და თუ უწევენ, როგორს. გამოკითხულთა 57 პროცენტმა გვაცნობა, რომ მათს სერვისულ მომსახურებაში შედის ხელახალი გაყიდვის სერთიფიკატის უფასო გაცემა, რაც იმის გარანტიაა, რომ თქვენი ავტომობილი მთლიანად არის დაკომპლექტებული, არა აქვს საქარხნო ხარვეზები და საექსპლუატაციოდ ვარგისია. გარდა ამისა, ზოგიერთი ფირმა იძლევა ორი თვიდან ერთ წლამდე ვადით და 20.000 კმ გარბენზე გარანტიას.

მყიდველის სურვილისამებრ, ფირმების უმრავლესობა ეწევა ისეთ სახეობათა ფასიან მომსახურებას, როგორიც არის სიგნალიზაციის, სამარჯვების დაყენება, ანტიკოროზიული საფარის წასმა და ა. შ.

რეზიუმე. ზემონათქვამიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს სამამულო ავტომობილების ბაზრის შედარებითი სტაბილურობა, რომელიც შეიმჩნევა პირველი სამი თვის განმავლობაში. მეტ წილ რესპონდენტთა აზრით, სამამულო ავტომობილებზე მოთხოვნის ზრდა გაგრძელდება დაახლოებით ზაფხულის დასაწყისამდე.

დოლარიანი ფასების ზრდის დინამიკა შეადგენს 2-3 პროცენტს თვეში ავტომობილებისათვის, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა („ვაზ-ი, „გაზ“-ი), და 2 პროცენტზე ნაკლებს (ან ზრდა საერთოდ არ შეიმჩნევა) „მოსკვიჩის“, „ოკასა“ და „ტავრიას“ მარკის ავტომობილებზე, რომლებზეც არ არის დიდი მოთხოვნა.

შეიმჩნევა ბაზრის საკმაოდ მნიშვნელოვანი გაჯერება სხვადასხვა მარკის სამამულო ავტომობილებით, თუმცა, ერთი შეხედვით, ეს არ იგრძნობა. ავტომობილი სპეციფიკური საქონელია და ერთობ საეჭვოა, რომ მან შეძლოს მიაღწიოს გაჯერების კოეფიციენტის 100-პროცენტიან ნიშნულს.

„ინვესტია-ექსპერტიზა“.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1995 წლის 6 ივნისიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	937, 301. 30	კუპონი
ავსტრიული შილინგი	133, 266. 27	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	2, 078, 441. 04	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	455, 661. 06	კუპონი
გერმანული მარკა	936, 733. 93	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	836, 658. 66	კუპონი
დანიური კრონი	239, 486. 29	კუპონი
100 იტალიური ლირა	79, 413. 21	კუპონი
კანადური დოლარი	949, 736. 54	კუპონი
ნორვეგიული კრონი	210, 066. 47	კუპონი
აშშ დოლარი	1, 300, 000. 00	კუპონი
ფინური მარკა	304, 192. 19	კუპონი
ფრანგული ფრანკი	265, 371. 77	კუპონი
შვედური კრონი	179, 126. 73	კუპონი
შვეიცარული ფრანკი	1, 136, 861. 06	კუპონი
10 იაპონური იენი	155, 986. 99	კუპონი
ეკიუ	1, 723, 279. 48	კუპონი
10 ესპანური პესეტა	107, 091. 89	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	57, 767. 37	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	2, 128, 228. 83	კუპონი
ისლანდიური კრონი	20, 630. 83	კუპონი
ქუვეიტური დინარი	4, 390, 408. 41	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	8, 005. 61	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	88, 829. 43	კუპონი
სინგაპურული დოლარი	934, 914. 71	კუპონი
10 თურქული ლირა	304. 50	კუპონი
ეგვიპტური გირვანქა	380, 784. 18	კუპონი
რუსული რუბლი	250. 00	კუპონი
ლიტვური ლიტი	312, 187. 50	კუპონი
ლატვიური ლატი	2, 463, 017. 50	კუპონი
ესტონური კრონი	112, 475. 00	კუპონი
100 უკრაინული კარბოვანეცი	870. 00	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	19, 475. 00	კუპონი
მოლდავეთის ლეი	280, 997. 50	კუპონი
ყირგიზეთის სომი	114, 565. 00	კუპონი
10 ბელორუსიის მანეთი	1, 092. 50	კუპონი
უზბეკეთის სუმი	47, 845. 00	კუპონი
აზერბაიჯანული მანათი	285. 00	კუპონი
სომხური დრამი	3, 082. 50	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

ინდექსი 66484